# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№128 (9959) 2025 წლის 19 სექტემბერი, პარასკევი




## უკრაინა ჩიხშია

იხ. 8 გვ.



# „ყბედობა საქმის კეთების ნაცვლად“

ვალერი ასათიანი:

## თანამედროვეობის გამოჩენილი მეცნიერი



რისმაგ გორდეზიანი ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი

5




## „ქართული ოცნების“ ღია ომი კორუფციასთან

3

### გაგრძელდება თუ არა დაკავებების სერია?!

ნაპოლეონ ქარქაშაძე:

## დიახ, ნეიტრალიტეტი!



ქართველებო, დროულად ჩამოყალიბდით, თუ როგორ ქვეყანაში გინდათ ცხოვრება?!

4

# „დიპლომატიური რთველი“ მშვიდობისთვის

**საგარეო საქმეთა მინისტრმა მაკა ბოჭორიშვილმა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს „დიპლომატიურ რთველში“ უმასპინძლეს.**

ღონისძიებაში საგარეო საქმეთა მინისტრსა და დიპლომატიურ კორპუსთან ერთად, მონაწილეობდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი **დავით სონღულაშვილი** და სახელმწიფო რწმუნებული კახეთის მხარეში **გიორგი ალადაშვილი.**

**„დიპლომატები კახეთში „შატო ზეგაანში” ღვინის დაყენების ქართულ ტრადიციებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებს გაეცნენ. გაიმართა ქართული ღვინის დეგუსტაცია და კულინარიის მასტერკლასები. სტუმრებმა მოინახულეს ქარხნის ტერიტორიაზე გაშენებული ვაზის უნიკალური ჯიშები და ტრადიციულ რთველში მიიღეს მონაწილეობა. დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს მაკა ბოჭორიშვილმა, დავით სონღულაშვილმა და გიორგი ალადაშვილმა. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან მეხუზლამ უცხოელ დიპლომატებს ჩვენი ქვეყნისთვის მევენახეობა-მეღვინეობის მნიშვნელობასა და 2025 წლის რთველის მიმდინარეობაზე მიაწოდა ინფორმაცია და რთველის ტრადიცია გააცნო“.**





საქართველოს რესპუბლიკა

ნუ გეშინია, ქართველო!

№128. პარასკევი, 19 სექტემბერი, 2025 წელი

# აბზაცში ჩატეული სიმართლე



პოლიტიკური ტერორიზმია არა მხოლოდ ის, რომ ხალხი პოლიციელებს კლავს და „მოლოტოვის“ კოქტეილებს ესვრის, არამედ ისიც, ვინც აფინანსებს და აორგანიზებს ამ პოლიტიკურ ძალადობას.

ჯეი დი ვენსი,
აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი

# ენჯეოების გზა „მაიდნისკენ“

**რამდენიმე პოლიტიკური დაჯგუფება და უცხოეთიდან დაფინანსებული „ენჯეოები“ ძალადობრივი გზით სახელისუფლებო ბერკეტების მოპოვებას ცდილობენ, ეს არის გზა, რომელიც პირდაპირ მიდის მაიდნისკენ,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა** განაცხადა.

პაპუაშვილს „მშვიდობიან რევოლუციასთან“ დაკავშირებით ოპოზიციის წარმომადგენლების განცხადებებზე დაუსვეს კითხვა.



**„ცხადია, საერთო ჯამში, რასთანაც გვაქვს საქმე. რამდენიმე პოლიტიკური დაჯგუფება, უცხოეთიდან დაფინანსებულ რამდენიმე „ენჯეოსთან“ ერთად, გავიდა დემოკრატიული ჩარჩოებიდან. მათ პირდაპირ აქვთ გაცხადებული, რომ უარს ამბობენ დემოკრატიულ პროცესში მონაწილეობაზე და ხელისუფლების ძალადობრივი ცვლილების გზაზე დადგნენ. ყველას შევახსენებ, რომ სახელისუფლო მანდატის მოპოვების ერთადერთი გზა არის არჩევნები. ამ ჯგუფებმა, ვგულისხმობ პარტიებს და უცხოეთიდან დაფინანსებულ „ენჯეოებს“, განაცხადეს, რომ გადიან დემოკრატიული ჩარჩოებიდან და ძალადობრივი გზით მანდატის, სახელისუფლო ბერკეტების მოპოვებას ცდილობენ. ზუსტად ეს არის დამხობასთან დაკავშირებული განცხადება და სხვა არაფერი. შესაბამისად, ყველა, ვინც ამაში მონაწილეობს, ყველა ვინც ე.წ. დამხობის ტერმინს აკნინებს, ან მხარს უჭერს, ან სალონურად ხდის იმით, რომ ხვდება მათ და დიპლომატიურ თუ პოლიტიკურ შეხვედრებს აორგანიზებს, ახალისებს ძალადობრივ პროცესებს. ამას ვხედავთ პირდაპირ. ფაქტია, მათ არ აქვთ არანაირი სახალხო მხარდაჭერა. მათ ქცევაშიც ვხედავთ, რომ ერთადერთი გზა არის რაიმე ისეთი პროვოკაციის მოწყობა, რამაც შეიძლება, არაორდინარულ მდგომარეობაში ჩააყენოს საზოგადოება და სახელმწიფო. ასე რომ, ეს არის ის საშიში გზა, რომელსაც დღეს ადგას უცხოეთიდან კარნახით რამდენიმე პარტია და „ენჯეო“. ეს არის გზა, რომელიც პირდაპირ მიდის „მაიდნისკენ“, ადამიანის სისხლის, არეულობის მოწყობისკენ. „მაიდანი“ ძალიან შემოგვაჩვიეს ბოლო პერიოდში თუ წინა პერიოდში. გახსოვთ შარშან, დეკემბერში შვედეთის ხელისუფლების წარმომადგენელი როგორ მოუწოდებდა ოპოზიციას „მაიდნისკენ“. ამ პროცესებს ზუსტად ასე უნდა შეხედოს საზოგადოებამ, რომ დღეს რამდენიმე პოლიტიკური დაჯგუფება და უცხოეთიდან დაფინანსებული „ენჯეო“ ცდილობს, საქართველოში 90-იანი წლები დაატრიალოს“!..**

# ნომრის მთავარი ციტატები

## ირაკლი კობახიძე:



**ენერგეტიკის სექტორში მოქმედი სახელმწიფო საწარმოების ხარჯების ოპტიმიზაციით შევძელით 370 მლნ ლარზე მეტის დაზოგვა, ეს სახსრები ჩვენი ენერგეტიკის სისტემის და ეკონომიკის განვითარებას მოხმარდება**

ჩვენი ამბიციური მიზანია, 2028 წლისთვის მივაღწიოთ 8 000 მგვტ მაჩვენებელს, ხოლო 2030 წლისთვის მივაღწიოთ 10 000 მგვტ-ს, რაც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ საქართველო გახდეს სრულად თვითკმარი ქვეყანა ელექტროენერგიის თვალსაზრისით.

მიზნის მისაღწევად საჭიროა სწორი პოლიტიკა და მასშტაბური პროექტების განხორციელება, როგორებიც არის „ხუდონის“, „ნენსკრას“, „ნამახვანის“ პროექტები.

## შალვა პაპუაშვილი:



**ყველამ, მათ შორის, ევროკავშირმა, უნდა მიჰბაძოს აშშ–ს და უარი თქვას რადიკალიზმის წაქეზებაზე, რადიკალიზმის ქართან მოთამაშეები ადრე თუ გვიან ტერორიზმის ქარიშხალს იმკიან!**

„რას გვეუბნება პრეზიდენტ ტრამპის მიერ ამერიკული რადიკალური ჯგუფის, „ანტიფას“ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადება და მისი დაფინანსების სქემებზე გამოძიების დაწყება? ცხადი ხდება, რომ წინა ადმინისტრაციების მიერ ნასაზრდოებ რადიკალიზმის იდეოლოგიას ამერიკაში სათავეს უკეტავენ და ამ იდეოლოგიის საცეცების დასასრული სხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, დგება. ეს გამოფხიზლება იმის აღიარების შედეგია, რომ რადიკალიზმი შეუქცევადია და მისი საბოლოო გაჩერება ტერორიზმია!

რადიკალიზმის ხელშეწყობა უნდა შეწყდეს. დემოკრატიის გადარჩენა არა რადიკალიზმის დათმენაში, არამედ მის აღკვეთაშია, რადგან დღევანდელი რადიკალიზმი ხვალ ტერორიზმად მოგვევლინება. ყველამ, მათ შორის, ევროკავშირმა, უნდა მიჰბაძოს აშშ-ის ადმინისტრაციას და უარი თქვას რადიკალიზმის წაყრუებაზე, წაქეზებაზე, დაფინანსებაზე და დაუბრუნდეს ნამდვილ ევროპულ ღირებულებებს, რადგან რადიკალიზმის ქართან მოთამაშეები ადრე თუ გვიან ტერორიზმის ქარიშხალს იმკიან“...

## ვატო შაქარიშვილი: ეს ამაზრზენია!



„საბერძნეთმა, იტალიამ, ესპანეთმა, უნგრეთმა და საფრანგეთმა უარი განაცხადეს რუსეთის მოქალაქეებისთვის სავიზო შეზღუდვების დაწესებაზე. საბერძნეთმა გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ქვეყანა მნიშვნელოვან სარგებელს იღებს რუსი ტურისტებისგან.ის, რაც დასაშვებია იუპიტერისთვის, არ არის დასაშვები ხარისთვის... ესე იგი, თავად აქვთ უფლება, რომ გადაწყვეტილება იმის მიხედვით მიიღონ, რა მოუტანს მათ ქვეყნებს სარგებელს და რა დააზიანებს. საქართველომ კი, ეკონომიკური ხარაკირი უნდა გაიკეთოს და ომშიც მათ მაგივრად უნდა გაწიროს თავი... ამაზრზენია, ევროკავშირის და ცალკეული ქვეყნების მთავრობების მხრიდან ეს ორმაგი სტანდარტი და პოლიტიკური ფარისევლობა!

P.S. ამ ფონზე კიდევ უფრო ტრაგიკომიკური ხდება მსჯელობა საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის შესაძლო შეჩერებასთან დაკავშირებით...“.

# ნუთუ ეს მართალია?!

## ასეულობით მილიონი დოლარის გათეთრების ბრალდებით დაკავებულია ენჯეო-სექტორის გავლენიანი ხელმძღვანელი



**სუს-ისა და პროკურატურის მიერ ერთობლივად ჩატარებული ღონისძიების ფარგლებში, გახსნილია სისხლის სამართლის უპრეცედენტო საქმე. კერძოდ, 2022-2024 წლებში განხორციელებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობის უკანონო შემოსავლის ლეგალიზების ფაქტი გამოვლინდა. ფულის გათეთრების ბრალდებით დაკავებულია ერთი პირი. პროკურატურის ინფორმაციით, ბრალდებულმა და დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა წევრებმა, 2022-2024 წლებში, დაახლოებით, 624 მილიონი აშშ დოლარისა და 35 მილიონი ევროს ოდენობით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზება განახორციელეს.**

**გამოძიების თანახმად, დაკავებულთან წინასწარი შეთანხმებით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, სისტემატურად უზრუნველყოფდნენ საბაჟო პროცედურების გვერდის ავლით, ავტომანქანებში მოწყობილი სპეციალური სამალავებით, მოსაზღვრე ქვეყნებიდან განსაკუთრებით დიდი ოდენობით დაუსაბუთებელი წარმომავლობის უცხოური ვალუტის შემოტანას და თანხის თავშეყრის ადგილას – ვალუტის გადამცვლელ პუნქტში მიწოდებას.**

ბრალდებულმა, აღნიშნული გზით შეკრებილი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით დაუსაბუთებელი წარმომავლობის უცხოური ვალუტა, კანონიერი სახის მიცემის მიზნით, სხვადასხვა პერიოდში, საბანკო დაწესებულებებში მიიტანა, როგორც ვითომ სავალუტო საქმიანობის ფარგლებში მიღებული კანონიერი შემოსავალი, რის დამადასტურებლადაც კომერციულ ბანკებს მიეწოდა წარმომავლობის შესახებ ყალბი მონაცემები. ბანკებიდან კონვერტაციის შედეგად მიღებული თანხები, სხვა პირებზე გადაცემისა და შემდგომი განკარგვის, ასევე უძრავ-მოძრავი ქონებების შეძენის გზით, მიმართული იქნა ლეგალურ ეკონომიკურ ბრუნვაში.

ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულმა, მის საკუთრებაში არსებული, ეროვნული ბანკის მიერ ნებადართული ვალუტის გადამცვლელი პუნქტის საქმიანობის საფარქვეშ, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განზრახ იგნორირებით, მოაწყო დაუსაბუთებელი წარმომავლობის თანხის შეკრების, კონვერტაციის გზით წარმოშობის შეცვლისა და ლეგალურ მიმოქცევაში განთავსების უკანონო ქსელი.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში, ამოღებულია დიდი ოდენობით ნაღდი ფული. დანაშაულებრივი წარმომავლობის თანხისა და სხვა აქტივების სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად. პროკურატურა, ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით, სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს. წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ და ზომად 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შეგახსენებთ, რომ ანალოგიურ ფაქტებზე, პროკურატურაში ჩატარებული გამოძიების ფარგლებში, წარსულში გასამართლებულია 7 პირი, რომელთაც სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაახლოებით, 13 მილიონი ლარის ღირებულების აქტივები ჩამოერთვათ. რაც შეეხება დაკავებულის ვინაობას, პროკურატურა მასზე არ საუბრობს. მეტიც, უწყების გავრცელებულ ოფიციალურ ინფორმაციაში, დაკავებულის ინიციალებიც კი არ არის მითითებული. თუმცა, სხვადასხვა წყაროების და საქმეში ჩახედული ექსპერტების ინფორმაციით, დაკავებულია გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

**მთავარი სენი**

# „ქართული ოცნების“ ღია ომი კორუფციასთან

## გაგრძელდება თუ არა დაკავებების სერია?!




**„ქართული ოცნების“ ახალი თაოსნობის მიხედვით, ხელისუფლება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას ამკაცრებს. ყოფილი და მოქმედი მაღალჩინოსნების დაკავების პარალელურად, მთავრობა კანონმდებლობის გამკაცრებისკენ იხრება, რამაც საზოგადოებაში ახალი კითხვები და მოლოდინები გააჩინა. თავდაცვის ყოფილი მინისტრის ჯუანშერ ბურჭულაძის კორუფციული დანაშაულის ბრალდებით დაკავების შემდეგ, გაჩნდა მოლოდინი, რომ შესაძლოა, ეს დაკავებების სერიის დასაწყისი ყოფილიყო.**

For.ge-ი წყაროზე დაყრდნობით, უკვე წერდა, რომ ანტიკორუფციული სამსახური სწავლობს ყოფილი ჯანდაცვის მინისტრის ზურაბ აზარაშვილისა და ინფრასტრუქტურის ყოფილი მინისტრის ირაკლი ქარსელაძის მინისტრობის პერიოდს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხმაურიანი დაკავებები, სავარაუდოდ, გაგრძელდება.

ოპოზიციური ძალები კი აქტიურად აპელირებენ, რომ შემდეგი სამიზნე, შესაძლოა, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აღმოჩნდეს. მიუხედავად იმისა, რომ მმართველი გუნდის წარმომადგენლები ამ შეკითხვაზე პირდაპირ არ პასუხობენ, მათი ორაზროვანი განცხადებები ოპოზიციას სპეკულაციების სივრცეს უტოვებს. თუმცა, ერთი რამ ცხადია – პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ კორუფციას ღია ომი გამოუცხადა.

მთავრობის ახალი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ კანონში ცვლილებებს ითვალისწინებს, მიზნად ისახავს სისტემის საბოლოო გაწმენდას და პრევენციული ეფექტის შექმნას. კობახიძის თქმით, კანონპროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, რომ კორუფციული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, საჯარო მოხელეებისა და პოლიტიკოსებისთვის სანქცია მხოლოდ პატიმრობით არ შემოიფარგლოს.

**„როდესაც საჯარო მოსამსახურე, მათ შორის, პოლიტიკოსი ჩადის კორუფციულ დანაშაულს, უნდა ახსოვდეს, რომ ვერ შემოიფარგლება კონკრეტული ვადით, პატიმრობის მოხდით. დიდი ხნის განმავლობაში, მას საკუთარი სახსრების დეკლარირება დასჭირდება, შესაბამისად, გაუჭირდება მოპარული ფულის გამოყენება. ჩვენი მიზანია, გოლომდე გაიწმინდოს სისტემა კორუფციისგან“,** – ამბობს პრემიერი **ირაკლი კობახიძე.**

კანონპროექტის მიხედვით, სამოხელეო ან ფინანსური დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, დამნაშავეებს 30 წლის განმავლობაში მოუწევთ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენა ანტიკორუფციული ბიუროსთვის.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე არჩილ გორდულაძე კი მიიჩნევს, რომ ეს ინიციატივა პრევენციის მნიშვნელოვანი საშუალებაა.

**„თუ ვინმეს აქვს იმის მოლოდინი, რომ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, როცა წესით, ქვეყანასა და ხალხს უნდა ემსახურებოდეს, ხალხის ფულით შეეცდება, თავისი ჯიბე გაისქელოს და შემდეგ ეს შერჩება, მომავალში, ეს შესაძლებელი არ იქნება“,** – განაცხადა **გორდულაძემ.**

ამ მოვლენების ფონზე, ყოფილი მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს. რუსთავის მე-12 დაწესებულებიდან გავრცელებულ წერილში, ის განმარტავს, რომ ესპანეთში შეძენილი სახლი, მისი ოჯახის მიერ, 2025 წელს არის ნაყიდი, ხოლო მისი დეკლარირების ვალდებულება 2024 წლის შემოსავლებს ეხებოდა.

**„ის, რომ საზოგადოებას მედიის საშუალებით სამართალდამცავი ორგანო აწვდის ინფორმაციას, თითქოს, ესპანეთში შეძენილი სახლი არ შევიტანე დეკლარაციაში, აღნიშნული არის სიცრუე“,** – წერს **ბურჭულაძე.**

მისი თქმით, სახლის შეძენა ოჯახის მიერ რამდენიმე უძრავი ქონების გაყიდვით დაფინანსდა, რომელთაგან ზოგიერთი მათ ოჯახის საკუთრებაში 15 წლის წინაც იყო. ბურჭულაძე იმედოვნებს, რომ „ეს უსამართლობა უმოკლეს დროში დასრულდება“.

ამჟამინდელი ვითარება აჩვენებს, რომ მთავრობა მზადაა, კორუფციასთან ბრძოლის კუთხით, მკვეთრი ნაბიჯები გადადგას. რამდენად ეფექტიანი აღმოჩნდება ეს ინიციატივა და გაგრძელდება თუ არა მაღალჩინოსნების დაკავებების სერია, მომავალი გვიჩვენებს.

ანალიტიკოსი **გიორგი ახვლედიანი** for.ge-სთან ამბობს, რომ ხელისუფლების ბრძოლა კორუფციასთან, თანაც საკუთარ რიგებში, ყველაზე დიდი მიღწევაა. ახვლედიანის მოსაზრებით, საზოგადოება კარგად ხედავს, რომ ეს ბრძოლა მხოლოდ ფასადური არ არის და რეალურად, ძალიან მკაცრ დონეზეა აყვანილი.

**„ბუნებრივია, როცა საზოგადოება ხედავს, რომ ხელისუფლება არ მალავს და არც ცდილობს საკუთარ რიგებში მყოფი, კორუფციაში მხილებული ადამიანების დაკავებას, ეს დიდ ნდობას აჩენს ჩვენს მოსახლეობაში. არის შემთხვევები, როცა ხელისუფლებაში იციან, რომ კორუფცია არსებობს, მაგრამ ამას ყველა ეგუება. როდესაც ასეთი რამ გამოვლინდება, ბუნებრივია, მასზე მაშინვე ხდება რეაგირება. ეს მნიშვნელოვანი პოზიტივია. მე გამიჭირდება იმაზე საუბარი, თუ ვინ შეიძლება იყოს შემდეგი. ამაზე მკითხაობა არასწორი იქნება“,** – ამბობს **ახვლედიანი.**

მისივე თქმით, როგორც აღმოჩნდა, მაღალი თანამდებობის პირებს წაუცდათ ხელი და ისინი დაკავებულები არიან, ამას პოლიტიკური კონტექსტი ეძლევა, ოპოზიცია კი ამის პოლიტიკური მიზნით გამოყენებას ცდილობს.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება და სახელმწიფო ეძებს და ავლენს იმ ადამიანებს, რომლებიც ქვეყანას არაპატიოსნად მოექცნენ.

**„ყველამ უნდა იცოდეს, რომ ვინც კანონით ქვეყანას და ხალხს გაძარცვავს, ამის გამო პასუხისმგებლობა მოუწევთ, მუდმივად იქნება დაკვირვებისა და ეჭვის ქვეშ. ამიტომ, ამის შემდეგ, ვინმეს ნაკლებად გაუჩნდება ასეთი ცდუნება და ქვეყნისთვის ფულის მოპარვას ვეღარ გაბედავს“,** – ამბობს **ახვლედიანი.**

რაც შეეხება იმ ფაქტს, თუ როგორ იმოქმედებს კანონის გამკაცრება „ოცნების“ ამომრჩეველზე და რა გავლენას მოახდენს არჩევნებზე, ახვლედიანი მიიჩნევს, რომ პირიქით, მმართველი გუნდი ამით მხარდამჭერებში ნდობას და მხარდაჭერას კიდევ უფრო გააძლიერებს, შედეგად კი ხელისუფლება უფრო დიდ მხარდაჭერას მიიღებს.

მოამზადა
**ლიკა ბერიკაშვილმა**




* * *

ანალიტიკოსის **ედიშერ გვენეტაძის** შეფასებით, ურწმუნოებისათვის 624 ლარი და 35 თეთრი კი არ შემოუტანიათ. შემოიტანეს სახელმწიფო გადატრიალების მოსახდენად და ქვეყნის მოქალაქეების იმ დღეში ჩასაყრელად, როგორშიც ვიყავით 1990-იან წლებში:

**„თუმცა, ვერ გაითვალისწინეს ის, რომ დღეს საქართველო სახელმწიფოა და სამართალდამცავი სტრუქტურები მუშაობენ სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ამ ფულების გამო უკიდებდნენ ცეცხლს სახელმწიფო დაწესებულებებს, ცოცხლად წვავდნენ პოლიციელებს, შეურაცხყოფდნენ რელიგიურ სიწმინდეებს, უხდიდნენ ჯარიმებს კრიმინალებს, არჩენდნენ მათ ოჯახებს.**

**ამ ფულებში გორაობდნენ და ამ ფულების გამო კაცის მკვლელ ჯინჯოლიებად იქცნენ – ლომჯარიები, მელიქიენებიები, გიგაურები, მევენახე ია ფარულავები, ხოშტარიები, გუბაზა და მისი ბურვაკი... ამ ფულებმა მოიტანა მოლოტოვის კოქტეილები, ასაფეთქებლები, ქვასროლიები, ნიღბები... ამ ფულებმა შექმნა გრიგორიადისები, ჭიჭინაძეები, დოიაშვილები, ბაჩიაშვილები... ალასანიას, ილიას, ზენდუქიძის უნივერსიტეტები. ამ ფულებით მოწამლეს საქართველოს ახალგაზრდობის ნაწილი. ამ ფულების გამო უნდოდათ საქართველოს ომში ჩართვა, მოსახლეობის გაჟლეტა და ქვეყნის განადგურება. ვერ ეღირსებიან! ვერ მოხდება“,** – წერს **ედიშერ გვენეტაძე.**

ანალიტიკოსის, **„ხალხის ძალის“** წევრის **დავით ქართველიშვილის** განცხადებით, რადიკალებს რევოლუციის „თეთრი ფული“ გაუქრათ და ვიგებთ, რომ პროკურატურამ და სუსმა 700 მილიონის გამთეთრებელი, გარედან შემომტანი დააკავა.

**„მას შემდეგ, რაც აქაურ NGO-ებს ხელისუფლებამ უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობა მოსთხოვა – ყველა მათგანმა უარი თქვა თანხების მიზნობრიობის გასაჯაროებაზე. ზოგი დაიხურა, ზოგმა რეგისტრაცია ქვეყნიდან გაიტანა და ა.შ... ერთი სიტყვით, რადიკალებს რევოლუციის „თეთრი ფული“ გაუქრათ და დღეს ვიგებთ, რომ პროკურატურამ და სუს-მა 700 მილიონის გამთეთრებელი, გარედან შემომტანი დააკავა. იმთავითვე ცხადი იყო, რომ NGO კლასტერი ამ სქემაზე გადაერთვებოდა და კარგია, რომ სპეცსამსახურები ფხიზლად არიან“,** – წერს **დავით ქართველიშვილი.**

**ანალიტიკოსის ზურაბ ქადაგიძის** განცხადებით, არსებობს ძალიან დიდი ალბათობა, რომ აღნიშნული სქემა სოროსის ფონდით დაფინანსებულ NGO-სექტორთან იყოს დაკავშირებული.

**„საქართველოს პროკურატურამ გამოავლინა შოკისმომგვრელი ფაქტი – 624 მილიონი აშშ დოლარი და 35 მილიონი ევრო. აქ ჩნდება კითხვა – არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, ვის დასჭირდა ამდენი „ქეში“ და ვინ ცდილობს არადეკლარირებული თანხების „გათეთრებას“?!**

**ძალიან დიდი ალბათობით, სოროსის ფონდით დაფინანსებული NGO-სექტორი, რომელიც წლებია, სისტემატურად ებრძვის სახელმწიფო ინსტიტუტებს და ცდილობს, პოლიტიკური სპეკულაციებით დაიბრუნოს გავლენები, რომელიც 2003-2012 წლებში ჰქონდა. საინტერესო იქნება, გამოძიების ოფიციალური დეტალები, რომელიც მალე გასაჯაროვდება“,** – წერს **ზურაბ ქადაგიძე.**

მოამზადა
**თამთა ქარჩავამ**

# დიახ, ნეიტრალიტეტი!



# ქართველებო, დროულად ჩამოყალიბდით, თუ როგორ ქვეყანაში გინდათ ცხოვრება?!

**დღეისთვის არჩევანი მხოლოდ ორია: 1) „ევროკავშირი“ და 2) ნეიტრალიტეტი. პირველი შემთხვევა გულისხმობს ევროპის კონტინენტზე არსებულ ქვეყნებს, რომელთა შორის დომინანტობენ ეკონომიკურად ძლიერი და საშუალო განვითარების ქვეყნები. რუსული იმპერიის დაშლის შემდეგ, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, შედარებით წარმატებულად ითვლებოდნენ. ასეთ რესპუბლიკად ითვლებოდა საქართველოც და განვითარების ეს გზა, საქართველოში პირველად გააჟღერა ირაკლი წერეთელმა, რომელიც „ნაციხარი“ პოლიტიკოსი იყო და ავტორიტეტიც საკმაოდ მაღალი ჰქონდა.**

ეს ლოზუნგი მალევე აიტაცეს კომუნისტებშიც, მითუმეტეს, რომ „ნატოს“ სამხედრო კავშირში გაერთიანებაც იყო გაჟღერებული – ეს კი, ქართველებს უნდოდათ.

**ქართველი საზოგადოების დიდმა ნაწილმა მაშინ კარგად, არც „ევროკავშირი“ იცოდა რას წარმოადგენდა და არც „ნატო“. სიტუაციის მომხიბვლელობა იმანაც გააძლიერა, რომ ორივე საერთაშორისო ინსტიტუციის ხელმძღვანელებმა მყარი გარანტია მოგვცეს, როდესაც განაცხადეს, რომ მათი კარი ჩვენთვის უკვე გააღეს და გველოდებიან!**

მას შემდეგ რამდენიმე ათეული წელი გავიდა და დაპირება დაპირებად დარჩა. თუმცა, კანდიდატ ქვეყნად მიგვიღეს და ამას თავისი მოთხოვნებიც მოაყოლეს.

მოაზროვნე ქართველები გამოფხიზლდნენ და მიხვდნენ, რომ ამ მოთხოვნებით „ევროკავშირის“ მესვეურები, პოლიტიკურ მორჩილებას გვაჩვევდნენ, რომელიც „მონობის“ პირველი საფეხურია.

სამწუხაროდ, დღემდე გვიტევენ ბალტიისპირეთის ქვეყნები, რომლებიც „ევროკავშირში“ იმიტომ შეიყვანეს, რომ ისინი რუსეთის ყველაზე ახლო მეზობლები არიან და „ნატოსთვის“ ყველაზე მოხერხებულ პლაცდარმს წარმოადგენენ. ცხადია, მათაც კარგად იციან ეს, მაგრამ ამ ქვეყნებს „ევროკავშირში“ დამკვიდრებაც სჭირდებათ, ამიტომ ისინიც მკაფიო დირექტივებს გვაძლევენ და თუ მათ არ შევასრულებთ, მკაცრი სანქციებით გვემუქრებიან.

სამწუხარო კი ისაა, რომ ქართველების გარკვეული ნაწილი, მათ საქართველოს მეგობრებად მიიჩნევენ – ეს კი საფრთხეა!

ახლა კი იმაზე ვისაუბროთ, თუ **რას ნიშნავს ქვეყნისთვის ნეიტრალიტეტი და რას მიიღებს ქართველი საზოგადოება?!**

„ნეიტრალიტეტი“ – სერიოზული განხილვის შემდეგ, მთავრობას გააქვს რეფერენდუმზე და მოწონების შემთხვევაში, საჭიროა მეზობელი და მეგობარი (პარტნიორი) ქვეყნების თანხმობა. პროექტი უნდა მოიწონონ საერთაშორისო ორგანიზაციებმაც და ასეთი პროცედურების გავლის შემდეგ, იგი განსახილველად უნდა გადაეცეს საკანონმდებლო ორგანოს. ნეიტრალიტეტი დაფიქსირდება ქვეყნის კონსტიტუციაში და საკანონმდებლო გადაწყვეტილებებში.

საქართველოში ეს იდეა, კარგა ხანია არსებობს. სხვადასხვა დონეზე, იგი გაჟღერებულიც იყო, მაგრამ განვითარება ვერ პოვა.

**მე, როგორც მეცნიერი, სერიოზულად დავფიქრდი, როდესაც ბ-ნი ვატო შაქარიშვილის და მისი წევრების წერილებს და სატელევიზიო გამოსვლებს გავეცანი. მომწონს მათი ხედვა... „ნეიტრალიტეტი“ ქართველი საზოგადოებისთვის ახალი მიმართულებაა, ამიტომ მინდა ვთხოვო ამ გუნდს, მეტი პროპაგანდა: იქნებ, ეცადოთ და მატერიალური დახმარების ფონდიც შეიქმნას! ქართველები გონიერი ხალხი ვართ, ქვეყანაში ცოტაა მდიდარი ხალხი, ამიტომ უნდა მივმართოთ უცხოეთში მცხოვრებ დიასპორას – იმ ქვეყნების ხელისუფლებებთანაც უნდა დაამყაროთ კონტაქტი, რომლებიც ჩვენი პარტნიორები უნდა გახდნენ, რომლებსაც სჭირდებათ ნეიტრალური საქართველო. კარგი იქნება, თუ თქვენი გაერთიანების შესახებ, ქართველ საზოგადოებასაც ექნება უფრო დეტალური ინფორმაცია.**

ის, რაც ჩემს წერილში გაჟღერდა – შესაშური საქმეა. სამხრეთ კავკასიაში სხვა სახელმწიფოებიც არსებობენ – ზოგიერთს ძლიერი დიასპორაც ჰყავს. მჯერა, ამ თემაზე ჩვენი გაერთიანდება საზოგადოება გაერთიანდება. მჯერა, რომ ქართველი მეცნიერები სერიოზულად მოეკიდებიან ამ საკითხს და დავდგებით თქვენ გვერდით.

**კარგი იქნება, თუ ჩვენი მთავრობის პოზიციაც დროულად დაფიქსირდება.**

**მჯერა, რომ ეს იდეა საქართველოს მომავალია! ჩვენი ქვეყანა ხომ თავისი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით მსოფლიო ქვეყნების იმ ათეულში შედის, სადაც ყველაზე კარგი პირობებია ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობისთვის.**

**ნაპოლეონ ქარქაშაძე,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მწერალი და პუბლიცისტი



# გაიღვიძე, მომაკვდავო ერო!

## დასრულდება თუ არა ოდესმე დემოგრაფიული კრიზისი?!



## 2025 წლის პირველი ნახევრის მონაცემები საგანგაშოა

## SOS! SIC!

**საქართველოში დემოგრაფიული კრიზისი სულ უფრო მწვავდება. მიმდინარე წლის მონაცემები ერთობ საგანგაშოა. მდგომარეობის გამოსწორებას ბევრი წელი დასჭირდება, თუ საერთოდ მოხერხდა ამ რთული მდგომარეობიდან თავის დაღწევა.**

**საქართველოში, 2025 წლის იანვარ-ივნისში, ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ მხოლოდ 17 719 ბავშვი შეადგინა.**

ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური აქვეყნებს. ამავე პერიოდში, ქვეყანაში გარდაიცვალა 22 718 ადამიანი.

**„საქსტატის“ მონაცემებით, 2025 წლის პირველ ნახევარში, ბუნებრივი მატება (სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა და გარ-**



# თანამედროვეობის გამორჩენილი მეცნიერი

## ქართული ჰუმანიტარული მეცნიერების უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრის, აკადემიკოს რისმაგ გორდეზიანის მრავალწლიანი ცხოვრება-მოღვაწეობა მჭიდროდ დაუკავშირდა ჩვენს ALMA MATER-ს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. გრიგოლ წერეთლისა და სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ დაფუძნებული კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინისტიკის (ელინოლოგიის) სამეცნიერო სკოლის ჭეშმარიტი აღორძინება ჩვენს დროში რისმაგ გორდეზიანის სახელს უკავშირდება.**

რ. გორდეზიანი დაიბადა 1940 წლის 9 ივნისს თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალობა – კლასიკური ფილოლოგია. 1974 წელს ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, წლების განმავლობაში იყო უნივერსიტეტის პროფესორი, პრორექტორი, 1989-2006 წლებში – კლასიკური ფილოლოგიის კათედრის გამგე, ხელმძღვანელობდა თსუ ხმელთაშუა ზღვის კულტურების კვლევის ლაბორატორიას. 1997 წელს მისი ძალისხმევით და იმჟამინდელი რექტორის-აკადემიკოს როინ მეტრეველის მხარდაჭერით დაარსდა თსუ-ს კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი,რომელმაც დიდი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა.

აკად. რ. გორდეზიანს გამოქვეყნებული აქვს მრავალი მონოგრაფია და სტატია ჰომეროლოგიის, ეგეისტიკის, ეტრუსკოლოგიის, ანტიკური ლიტერატურისა და კულტურის ისტორიის, ქართველოლოგიის სფეროში ქართულ და უცხოურ ენებზე. საყოველთაო აღიარება მოიპოვა მისმა საჯარო ლექციებმა და მოხსენებებმა მსოფლიოს სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებში. მეცნიერული სიახლეებით გამოირჩევა რ.გორდეზიანის შრომები: „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები“ (1970); ეტრუსკული და ქართველური (1980); წინაბერძნული და ქართველური (1985); ბერძნები საქართველოში (1990); ბერძნული ცივილიზაცია, 1-2 (1988-97; 2019; ტ. 3-2020; ეტრუსკები (2020); ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა (1993); ქაოსიდან კოსმოსამდე (1997); ბერძნული ლიტერატურა (2002), კლასიკური ფილოლოგიის შესავალი (2007), მედიტერანულ-ქართველური მიმართებები. ტ. 1-3 (2007) და მრავალი სხვ.



ვალერი ასათიანი, ელგუჯა ხინთიბიძე, რისმაგ გორდეზიანი.

დემიკო ლოლაძის ფოტო

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა უკანასკნელ წლებში რ.გორდეზიანის საერთო ხელმძღვანელობით დასრულებული და გამოცემული უნიკალური ხუთტომეული „ანტიკური კავკასია“ ენციკლოპედია-CAUCASUS ANTIQUUS.

ნაშრომებისათვის ჰომეროლოგიასა და ეგეისტიკაში რ. გორდეზიანს მინიჭებული ჰქონდა პირველი ხარისხის პრემიები, დაჯილდოებული იყო საქართველოს ღირსების და პრეზიდენტის ბრწყინვალების ორდენებით. იგი იყო საბერძნეთის არქეოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი, საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ვინკელმანის საერთაშორისო საზოგადოების წევრი, საბერძნეთის ღირსების ორდენის ერთადერთი ქართველი კავალერი.

რ. გორდეზიანმა აღზარდა მეცნიერთა თაობები. იგი იყო მეცნიერების უერთგულესი მსახური, აღიარებული ლექტორი, პედაგოგი, კეთილშობილებით აღსავსე პიროვნება, რომელმაც ღირსეულად იმემკვიდრა დედაუნივერსიტეტის დამფუძნებელთა დიდ წინამორბედთა საუკეთესო თვისებები და თავისი მოღვაწეობით, აზროვნების ფართო დიაპაზონით ნათელი კვალი დატოვა მადლიერ მოწაფეებსა და მოწაფეთა მოწაფეებში.

რ. გორდეზიანის თქმით, „ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბება თავისი ძირებით ჩვენი ისტორიის საწყისებამდე ადის. საუკუნეების განმავლობაში იგი იქცა ერის ფუნქციონირების გენეტიკურ აუცილებლობად. სწორედ ამის წყალობით გაუძლო ქართულმა თვითშეგნებამ დროის გამოცდას, დაძლია მრავალრიცხოვან სეპარატისტთა თუ ამბიციურ რეგიონალურ მმართველთა უგუნურება და მოვიდა ჩვენს დღეებამდე. სწორედ ერთიანობის ეს გენეტიკური აუცილებლობა განსაზღვრავდა ყოველ ხელსაყრელ მომენტში მძლავრი, მთლიანი ქართული სახელმწიფოს შექმნას, რომლის ხატი ასე ღრმად არის გამჯდარი ჩვენს ფსიქიკაში და რომელიც ასოცირდება აიეტის კოლხეთთან, ფარნავაზის, ფარსმანების, ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის საქართველოსთან. ეს ხატი, ვითარცა უკვდავი არქეტიპი, ახლაც, XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე წარმართავს ჩვენს დაუოკებელ ლტოლვას ახალი, ერთიანი, დემოკრატიული, უპირატესად, ევროპულ კულტურულ ღირებულებათა სისტემაზე ორიენტირებული ქართული სახელმწიფოს მშენებლობისაკენ“ (იხ. რ. გორდეზიანი, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემა“. თბ., 1993).










„ბერძნული ცივილიზაციის“ წინასიტყვაობაში რ.გორდეზიანი წერდა: „თუკი ჩვენი ეს ცდა ახალგაზრდებს დაეხმარებათ, შეექმნათ უფრო ნათელი წარმოდგენა ძველი ბერძნების კულტურის მნიშვნელობაზე კაცობრიობისათვის, თუკი იგი ფართო საზოგადოებაში ძველი ელადის მიმართ არსებულ დიდ ინტერესს რამდენადმე მაინც დააკმაყოფილებს, ჩვენს მიზანს მიღწეულად ჩავთვლით“. ასეც მოხდა. ახლახან განხორციელდა მეცნიერის კიდევ ერთი ჩანაფიქრი: მისი თანაავტორობით გამოიცა „რომაული ცივილიზაცია“, რასაც, სამწუხაროდ, ჩვენი დაუვიწყარი მასწავლებელი და უფროსი მეგობარი ვეღარ მოესწრო...

**აკადემიკოს რისმაგ გორდეზიანის შემოქმედებითი მემკვიდრეობა ჩვენი ეროვნული მეცნიერებისა და, საზოგადოდ, კლასიკური ფილოლოგიის ძალზე მნიშვნელოვანი შენაძენია.**

ვალერი ასათიანი,
აკადემიკოსი.

---

**დაცვლილთა რიცხოვნობას შორის) – 4 999 კაცით განისაზღვრა. ბუნებრივი მატების დადებითი მაჩვენებელი დადასტურდა თბილისსა (406) და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (296).**

**ამასთან, ოფიციალური მონაცემებით, 2025 წლის პირველ ექვს თვეში, ქორწინების 9 925 და განქორწინების 6 456 შემთხვევაა რეგისტრირებული. საყურადღებოა ისიც, რომ მცირედით გაიზარდა პირველი ქორწინების საშუალო ასაკი და მან 2024 წელს, ქალებისთვის – 29.9 წელი, ხოლო მამაკაცებისთვის 32.2 წელი შეადგინა. 2023 წელს ეს მაჩვენებელი ქალებისთვის – 29.7, მამაკაცებისთვის კი 32.1 წელი იყო. აღსანიშნავია, რომ პირველი ქორწინების საშუალო ასაკი, როგორც მამაკაცების, ასევე ქალების შემთხვევაში, ყოველწლიურად მატულობს.**

ქვეყანაში არსებული რთული მოცემულობის რამდენიმე მიზეზია და სწორედ ამ გარემოებაზე ამახვილებენ ყურადღებას დემოგრაფები. თამარ ჩიბურდანიძე პირდაპირ ამბობს, რომ მინიმუმ 10-15 წელი მოგვიწევს გარდაუვალი კლების რეჟიმში ცხოვრება.

**„შობადობის გარდაუვალი კლების რეჟიმში ჩვენ ვიქნებით ერთი დემოგრაფიული თაობა, რადგან 80-90-იანი წლების დემოგრაფიული ხაზი მიჰყვება დაბადებული გოგონების რაოდენობას. ამ პერიოდში, საქართველოში, დაახლოებით, 450 ათასი გოგონა დაიბადა, ხოლო 90-იანი წლებიდან 2000-იან წლამდე – მისი ნახევარი, სადღაც, 230 ათასი გოგონა. 1990-2000-იან წლებში დაბადებული გოგონები ახლა შევიდნენ დედობის ასაკში. იმ პერიოდში გოგონების რაოდენობა განახევრდა, რაც გამოიწვია მიგრაციამ, შიდა კონფლიქტმა და მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა შედეგმა. ეს არის 90-იანი წლების შედეგი და როდესაც ვამბობთ, რომ ერთი დემოგრაფიული თაობა ითვლის 25-27 წელს, ესე იგი, სურათს ვიღებთ 25-27 წლის შემდეგ.**

**ქვეყანაში მკვეთრად არის შემცირებული პირველი და მეორე შვილის გაჩენა. მესამე და შემდგომი შვილების რაოდენობა კი უმნიშვნელოდ არის შემცირებული და ზოგიერთ რეგიონში ზრდაც არის. დაიკლო ქორწინებათა რაოდენობამ, რადგან ახალგაზრდები ევროპული წესით ამჯობინებენ თანაცხოვრებაში იყვნენ დიდხანს, ვიდრე ქორწინებაში შევიდნენ. წყვილები რამდენიმე წელიწადი არიან თავისუფალ ურთიერთობაში და გვიან ქორწინდებიან.**

**გარდა ამისა, შვილის ყოლის გადავადებაც მოხდა. ეს მოცემულობა ევროპაში იმდენად აღარ არის, მაგრამ საქართველოში ახლა შემოვიდა მოდაში. ქორწინება უნდა მოხდეს ყველაზე რეპროდუქციულ ასაკში და ეს არის 18-დან 30 წლამდე პერიოდი. ეს ხალხი გვიან ქორწინდება და თუ ოჯახი როგორმე შექმნეს, გვიანობამდე არ აჩენენ შვილს.**

**რაც შეეხება სიკვდილიანობის მატებას, ესეც დემოგრაფიული თაობების შედეგია. საქართველო არის ძალიან დაბერებული ქვეყანა. ხანდაზმულთა რაოდენობა მკვეთრად აჭარბებს ახალშობილთა ოდენობას. საქართველოში ძალიან ბევრი პენსიონერი გვყავს, ხანდაზმულთა რაოდენობა გაზრდილია და ამიტომ გაიზარდა გარდაცვალების მაჩვენებელი“,** – განაცხადა **თამარ ჩიბურდანიძემ.**

იგივე მოსაზრებისაა კიდევ ერთი დემოგრაფი **გიორგი მელაძე,** რომელიც ფიქრობს, რომ შობადობის მაჩვენებლის ზრდა ათწლეულებშიც კი შეუძლებელია. ასე რომ, საქართველოში ეს კრიზისი კიდევ კარგა ხანს არ მოგვარდება.

**„შობადობის კლება დღეს და გუშინ არ დაწყებულა, განსაკუთრებით ტრაგიკული იყო 90-იანი წლები, როდესაც მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა და დღეს, ზუსტად ის თაობაა რეპროდუქციულ ასაკში, რომლებიც 90-იანი წლების მეორე ნახევარში დაიბადნენ. 1994 წელს, საქართველოში 15-დან 49 წლის ჩათვლით, რეპროდუქციული ასაკის ქალების რაოდენობა იყო 1.234 მლნ მაშინ, როდესაც 2024 წლის მონაცემებით, ეს რიცხვი 823 ათასია. ამ თაობას რესურსი არ გააჩნია და ამიტომაც მცირდება შობადობა.**

**ზოგადად, შობადობის მაჩვენებლის ზრდა ათწლეულებშიც კი შეუძლებელია, ამას ორი თაობა მაინც სჭირდება. ამასთან, შობადობის ზრდა წარმოუდგენელია, ტრადიციული კულტურის გარეშე. თანამედროვე სამყაროში კი მიმდინარეობს დაპირისპირება ახალ და ტრადიციულ კულტურას შორის. საქართველოში შობადობა რომ გაიზარდოს, ზოგადმა კოეფიციენტმა 30-32 პრომილემდე უნდა მოიმატოს, დღეს ეს მაჩვენებელი 10-11 პრომილეა“,** – განაცხადა **მელაძემ.**

ბექა დანელია

# აჭარა — მომავლისთვის

## ირაკლი კობახიძე:
## მაქსიმალურად მკაცრად ვიმოქმედებთ ნებისმიერი ტიპის დანაშაულთან მიმართებით

**დღეს ჩვენი სახელმწიფო არის დამოუკიდებელი და სუვერენული როგორც არასდროს და ეს მოცემულობა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მაქსიმალურად მკაცრად ავამოქმედოთ კანონი ნებისმიერი ტიპის დანაშაულთან მიმართებით,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, კონკრეტული საქმეები აღიძრა სამართალდამცველი ორგანოების მხრიდან და ეს არის მთლიანად კანონის თემა, ეს არ ეხება მთავრობას, როგორც ასეთს, ეს ეხება შესაბამის უწყებებს.

**„ჩვენი ხელისუფლება აქტიურ ზომებს იღებს კორუფციის აღმოსაფხვრელად საქართველოში. ამას უკავშირდება პროკურატურის აქტიურობა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, სხვა სამართალდამცველი უწყებების საქმიანობა. ყველა ძირითადი მიმართულებით გააქტიურდა კრიმინალთან ბრძოლა, ეს ეხება კორუფციულ დანაშაულებს, ნარკოტიკულ დანაშაულებს, ორგანიზებულ დანაშაულს და პოლიტიკურად მოტივირებულ დანაშაულს, ყველა მიმართულებით გააქტიურებულია ბრძოლა დანაშაულის წინააღმდეგ“!**

პრემიერ-მინისტრმა ხელისუფლებისა და ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ეს გამოწვევები ხელოვნურად, გარედან იყო შექმნილი.

**„როდესაც მაგალითად გაქვს რთული პოლიტიკური პროცესები ქვეყანაში, ქვეყნის გარშემო, როცა არის რეგიონში მიმდინარე ომი, როდესაც ამ ფონზე არის ზეწოლა ხელისუფლების მიმართ, რომ ჩაერთოს საომარ მოქმედებებში და ა.შ, ასეთ დროს რაღაცებს შეიძლება, ვერ დაუთმო სათანადო ყურადღება ობიექტური მიზეზების გამო. დღეს ჩვენი სახელმწიფო არის დამოუკიდებელი და სუვერენული როგორც არასდროს და ეს მოცემულობა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მაქსიმალურად მკაცრად ავამოქმედოთ კანონი ნებისმიერი ტიპის დანაშაულთან მიმართებით“...**

## „შეაჩვიეს ენა სახელმწიფოს“!

**„შეაჩვიეს ენა ჩვენს სახელმწიფოს. არავის მივცემთ ამის საშუალებას. როგორც ვახსენე, კორუფციასთან დაკავშირებით, ორგანიზებულ დანაშაულზე, ნარკოტიკულ დანაშაულზე, პოლიტიკურად მოტივირებულ დანაშაულთან მიმართებითაც, ჩვენ გვაქვს ბევრად მეტი შესაძლებლობა დღეს, რომ კანონი ავამოქმედოთ მთელი სიმკაცრით. აქედან გამომდინარე, ყველას მოვუწოდებ, მაქსიმალურად აკონტროლონ საკუთარი რიტორიკა.**

**როგორც ჟარგონზე იტყვიან, ე მანდ არ აღმოჩნდნენ იქ, სადაც ვიღაც-ვიღაცები უკვე აღმოჩნდნენ, რადგან სახელმწიფოს ინტერესები უნდა იყოს ბოლომდე დაცული. არ შეიძლება, კანონი ასე მარტივად დაარღვიოს ადამიანმა. კანონის დარღვევას სადაც ვნახავთ, მათ შორის, რიტორიკის დონეზე, ყველგან გვექნება შესაბამისი რეაგირება“,** – განაცხადა პრემიერმა.



## პრემიერ-მინისტრი ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ მარიამ ქვრივიშვილთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილთან ერთად, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში განხორციელებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნო.**

თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების მმართველი ADP ჯგუფის წევრი „ტავ ჯორჯიას“ გენერალურმა მენეჯერმა მთავრობის მეთაურს განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. თეა ზაქარაძის თქმით, მიმდინარე წელს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში დასრულდა ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის რეაბილიტაცია, გაორმაგდა საჰაერო ხომალდების სადგომების რაოდენობა, ასევე კომპანიამ შეიძინა ახალი ტექნიკა.

მგზავრთნაკადის გამტარუნარიანობის გაზრდის მიზნით, მიმდინარე წელს იგეგმება მგზავრთა დახვედრის ზონისა და მოფრენის სივრცეში პასპორტის კონტროლის ზონის გაფართოება. ინფრასტრუქტურულ სამუშაოებში კომპანიამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში 25 მლნ ლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელა.



* * *

**ბათუმში ახალი მასშტაბური სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა იწყება, – ORBI Continental-ის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებულ ღონისძიებაში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მიიღო მონაწილეობა.**

მთავრობის მეთაურმა სიტყვით გამოსვლისას ხაზი გაუსვა პროექტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ბათუმისა და მთლიანად აჭარის განვითარებისთვის და აღნიშნა, რომ 300 მილიონი დოლარის მოცულობის ინვესტიცია სახელმწიფოსადმი კერძო სექტორის ნდობის კიდევ ერთი დადასტურებაა.

პრემიერ-მინისტრმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ და „ორბი ჯგუფის“ გენერალურმა დირექტორმა შენობის საძირკველში სიმბოლური კაფსულა ჩაუშვეს. ახალი მასშტაბური სასტუმრო კომპლექსი ბათუმის ბულვარში, ზღვის სანაპიროზე აშენდება. კომპლექსი 55 და 37-სართულიანი ორი ცათამბჯენისგან შედგება.



## „ჩელე-არენას“ განახლება წლის ბოლოს დასრულდება

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, მთავრობის წევრებთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილთან ერთად, ქობულეთში, „ჩელე არენას“ მოედნების რეაბილიტაციის პროცესს გაეცნო.**

სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპის ფარგლებში შეიცვალა მინდვრის საფარი. ორ მცირე სტადიონზე მოეწყო განათებები, განხორციელდა ტრიბუნებისა და ადმინისტრაციული შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია. ინფრასტრუქტურული პროექტის მეორე ეტაპი, რომელიც განათებებისა და ტრიბუნების მოწყობას მოიცავს, წლის ბოლომდე დასრულდება. პროექტის ღირებულება 3 მილიონ ლარამდეა.

# მსოფლიოს ჩემპიონი კრივში გიორგი კანდელაკი არალეგალური ქარხნის ერთ-ერთი მეპატრონე იყო!



**„დაკავებულია დანაშაულში თანამონაწილე 7 პირი.**

**გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულებს შიდა ქართლის რეგიონში, წლების განმავლობაში, გააჩნდათ არალეგალურად მოქმედი, ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი ქარხანა, სადაც კუსტარულად ხდებოდა სხვადასხვა დასახელების, ქართული და უცხოური, ბრენდული ალკოჰოლური სასმელების უკანონო ჩამოსხმა-რეალიზაცია.**

## ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა 75 137 ბოთლი ალკოჰოლური სასმელი და 318 000 კოლოფი უაქციზო სიგარეტი ამოიღეს

**საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ამოღებულ იქნა, სარეალიზაციოდ გამზადებული, 75 137 ბოთლი უაქციზო ალკოჰოლური სასმელი, კერძოდ არაყი BELUGA (ბელუგა), BELVEDER (ბელვედერი), GREY GOOSE (გრეი გუსი), ვისკი BORKAN (ბორკან) და CHIVAS REGAL (ჩივას რეგალი).**



**ჩხრეკისას ქარხანაში ასევე აღმოვაჩინეთ ხსენებული სასმელების წარმოებისთვის განკუთვნილი დიდი რაოდენობით ბოთლები, საცობები, ეტიკეტები, შესაფუთი მასალა, ხოლო ცისტერნებში – დაახლოებით 24 ტონა ალკოჰოლური სითხე, რომლითაც ხდებოდა ზემოაღნიშნული ფალსიფიცირებული სასმელების დამზადება. ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთი საწყობიდან დამატებით ამოვიღეთ 318 000 კოლოფი უაქციზო სიგარეტი „KARELIA” (კარელია). ასევე ამოღებულია სიგარეტის შეფუთვისათვის და წარმოებისათვის განკუთვნილი ტექნიკური დანადგარები. ამოღებული უაქციზო ალკოჰოლური სასმელების და სიგარეტების საორიენტაციო ღირებულებამ შესაძლოა ათეულობით მილიონი შეადგინოს, რასაც საბოლოოდ საქმეზე ჩატარებული შესაბამისი ექსპერტიზა დაადგენს. ვაგრძელებთ საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების წარმოებას ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართული სხვა პირების მხილების მიზნით.**



**გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლის მე-3 ნაწილით და მე-200 მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით”,** – განაცხადეს საგამოძიებო სამსახურში.



# ვისწავლოთ, ვიცოდეთ წარსული, თვალი გავუსწოროთ მომავალს

**დავით ახლოური,**
საქართველოს მწერალთა კავშირის შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის ორგანიზაციის თავმჯდომარე, გორის უნივერსიტეტის პროფესორი

## მზვარეთის ტრაგედია

**ვინ უნდა ყოფილიყო ეს სვეგამწარებული კაცი ალექსი თვაური, ვის ოჯახშიც ტრაგედია დატრიალდა?**

კამერალური აღწერებიდან ჩანს, რომ იმ დროს თვაურებს მზვარეთში არ უცხოვრიათ, ისინი მკვიდრობდნენ ბოლის საზოგადოების სხვა სოფლებში: ახმაჯში, გიორგაშენსა და წიფლის წყაროში. თვაურები, ძირითადად, ერედვის მუნიციპალიტეტის სოფელ წიფორიდან უნდა იყვნენ ქსნის ხეობაში მოსულები. ალექსი თვაური ცხოვრობდა ახმაჯში, 1886 წლის აღწერის დროს ის ყოფილა 26-27 წლის, უცოლო. 1910 წელს იქნებოდა დაახლოებით 50 წლის. შესაძლებელია იგი დასახლებულიყო მზვარეთში...

უდიდესი ტრაგედია დატრიალებულა მეზობელ სოფელ წიფლის წყაროშიც, საიდანაც **„ნიაღვარმა მოიტაცა ახალგაზრდა მენახირე. იპოვეს მკვდარი. აქვე ნიაღვარისაგან მოტაცებულია სამი კამეჩი. სეტყვანიაღვრისაგან დაღუპულ შინაურ ფრინველობა ხომ ასობით არის“.**

წერილის ავტორი თვითმხილველი ყოფილა ქსნის ხეობელთა ამ მძიმე ხვედრისა, იგი სხვა გაზეთების რედაქციებს სთხოვს, გადაიღონ ეს ცნობა და გაავრცელონ, რათა საზოგადოებამ დახმარება აღმოუჩინოს უსარჩოდ დარჩენილ თანამოძმეებს: **„ასე, ამ გვარათ სამმა მკათათვემ მკაცრათ დასაჯა მარტო ერთ ახალგორის სამამასახლისოში ცხრამდენ სოფელი, ამათში მზვარეთი, წიფლის წყარო, გორგაშენი, ახმაჯი, ოძისი, გაქაქურიანთ კარი და სხვა... ყველა ამის პირდაპირი მოწამე ვარ სხვათა შორის ამისი დამწერი. ამ არა ჩვეულობრივ უბედურებაზედ გაზეთის საშუალებით ვჩქარობ ვაცნობო ფართო საზოგადოებას; იმედია, ის გულთან ახლოს მიიღებს ამათ ხვედრს, თორემ ვაი ამათი ბრალი – გუდა კიდობანში ძველი ელევათ, ახალი კი აღარ ახლავთ! რა უნდა სჭამონ ან თვითონ ან საქონელმა არ ვიცი, არ იციან თვითონაც! ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც გადაიღოს ეს ცნობა“.**

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №108, 109-110, 111-119, 120-121, 123, 126

## დამწვარი ხატები და ორმოში ჩამარხული წიგნები

**1895 წლის 15 ოქტომბერს გაზეთ „კვალში“ დაიბეჭდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრის ილარიონ ჯაშის მოგონებები საერთო სათაურით: „ჩვენ ისტორიკოს-მეცნიერთა საყურადღებოთ“.**




ავტორი, ქსნის ხეობის ისტორიის სხვადასხვა საკითხებთან ერთად, 1877 წლის ერთ საინტერესო და მტკივნეულ მომენტსაც იხსენებს: **„ერთხელ მამაჩემი, რომელიც იყო მედავითნეთ ლარგვისის ეკლესიაში, მომიყვა შემდეგს სამწუხარო ამბავს: მონასტერში ერთხელ მოვიდა ამბავი – თქვა იმან – რომ ეგზარხოსი ევსევი დაიარება „რევიზიაზე“ და მონასტერშიც (ლარგვისში) აპირობს მოსვლასაო. ამ ხმებს თან მოჰყვა, რომ ეგზარხოსს ძველი ნაწერები (გუჯრები) ხატები და სხვა ნივთები ძალიან ეჯავრებაო და იმ ეკლესიის მღვდელ-დიაკვანს, სადაც ძველ რამე-რუმეებს ნახავს, უეჭველათ გააუბედურებსო. მამა ჩემი იყო მღვდლის მაისურაძის (სახელი არ ვიცი) დიაკვანი; მგონია, ის მღვდელი დღესაც ცოცხალია. რადგანაც ლარგვისის ეკლესია სავსე იყო ძველი რაგინდარით, ამისთვის ამ ამბავმა ჩვენ ძალიან შეგვაშინა და ბევრს სჯას შემდეგ გადავწყვიტეთ შემდეგი. ძველი ფიცრის ხატები დავეწვა და ნაცარი ქსანში ჩავეყარა, ხოლო ძველი წიგნებისთვის და სხვა ნივთებისთვის გაგვეთხარა ორმო და შიგ ჩავეყარა. ასეც მოვიქეცით. მამაჩემს მე რამდენჯერმე ვთხოვე წამოსულიყო ჩემთან და ეჩვენებინა ის ადგილი, მაგრამ სიკვდილმა უსწრო და ვერ მასწავლა. ის კი ნამდვილათ ვიცი, რომ ის ორმო საყდრის გალავანშია, ზედ ერთი დიდი პტყელი ქვა აძევს, და ზემოთ მიწა აყრია. შესაძლებელია ეს ამბავი იცოდეს მაშინდელმა მნათემ, სოფელს მონასტერში (ლარგვისში – დ. ა.) მცხოვრებელმა გლეხმა როსტომ ზარიძემ; შესაძლებელია კიდევ იცოდეს ამავე სოფელში მცხოვრებელმა აზნაურმა ეგნატე ჟურულმა. ეს უკანასკნელი პირი დაახლოებული იყო მამაჩემთან და შეიძლება უთხრა როდისმე. კარგი იქნება, შეუდგეს ვინმე იმ ადგილის ძებნას; უეჭველია, კიდევ გადარჩებოდა რამე“...**

ბედოვლათობაში და უმეცრებაში უთვლის ამ ამბავს ქსნის ხეობის ისტორიის მკვლევარი ვიტალი ქენქაძე მღვდელ-დიაკვნებსაც, მოსახლეობასაც და ამუნათებს: **„როგორ უნდა ელოცათ იმ წმინდა სალოცავში, როგორ უნდა ეთქვათ – ღმერთო, გვიშველეო, ისე როგორ უნდა ჩასულიყვნენ საფლავში, რომ წინაპართა სისხლის ფასად, ათასი მომხდურის ცეცხლსა და მახვილს გადარჩენილი, ნალოლიავები, უნჯი განძი ლარგვისის მონასტრისა ორმოში დაელპოთ, მაგრამ არც მნათეს – როსტომ ზარიძეს და არც გაზულუქებულ აზნაურ ჟურულს არ ეყო ძალა ქვეყნისა და ქრისტეს სიყვარულისაო.“**

გეტყვით იმასაც, რომ ეგზარქოსი ევსევი ლარგვისში არ ასულა...

ილარიონს დიდი სურვილი ჰქონია, მამასთან ერთად წასულიყო ქსნის ხეობაში და მოეძებნა ორმოში გადამალული განძი, მაგრამ სიკვდილმა უსწრო და ვერ მასწავლაო, ილარიონს გზის სიშორის გამო ვერ მოუხერხებია ლარგვისში წასვლა, იპოვიდა თუ არა განძს, ესეც საკითხავია, თუმცა დარწმუნებული იყო – კიდევ ვიპოვიდიო...

ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ბევრჯერ დავფიქრებულვარ, რა დიდებული განძი განადგურდა უნიკალური ხატების სახით, რა განძი ჩალპა მიწაში ძველი ხელნაწერი წიგნების სახით. ხომ ვიცით, როგორი გაცხოველებული იყო წიგნების გადაწერა მონასტერში. რამდენი ცნობილი ოსტატი თუ კალიგრაფი ემსახურებოდა ამ საქმეს... ასე მგონია, იმ წიგნებს შორის „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერიც იქნებოდა და ვინ იცის, კიდევ რა...

„გზას ვამბობ, თორემ რა გზაა, ვიწრო ბილიკი კლდეზედა, სავალად მეტად ძნელია, ფეხს ძლივს აცილებს ფეხზედა“ – სწორედ ჩვენი გენიალური ფშაველი პოეტის ამ სიტყვებს მახსენებს 1897 წლის გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი ერთი სარედაქციო წერილი: „ახალგორის ზევით სამი წილი ხეობისა – მთიელნი სრულიად უგზონი არიან. აქვთ პატარა სავაჭრო სოფელი მონასტერი, მაგრამ მიუვალი: იქით მიმავალი ურემი ურემს ვერ აუქცევს, ცხენიანი-ცხენიანს. იქაურ მგზავრს ერთი ფეხი რომ გადაუბრუნდეს ვიწრო გზაში, უფსკრულისაკენ დაეშვება და სულ-ხორციანად მიიკარგება.“

მიხვდება მკითხველი, რომ წერილში საუბარია ლარგვისზე, რომელიც მონასტრის სახელწოდებით მოიხსენიებოდა... „სამ წილ ხეობაში“ ჭურთა, ცხრაზმა და ქარჩოხ-ჟამური უნდა იგულისხმებოდეს. კაცმა რომ თქვას, ეს უგზოობა, ერთის მხრივ, მტრის შეკავებაში უწყობდა მთის ხალხს ხელს. ამიტომაც იყო, რომ ლარგვისის მონასტერი, გერგეტის სამებასთან ერთად სვეტიცხოვლის საგანძურის სახიზარი იყო. ძველად ქსნელები საუკეთესოდ იცავდნენ ეროვნულ განძეულობას... მეორეს მხრივ ასეთი გზა ბევრ პრობლემას უქმნიდა აქაურ გლეხკაცს...



ლარგვისის ეკლესია

## ლარგვისის მონასტრიდან დაკარგული მღვდელ-მთავრის მიტრა

**კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი იქცევს ყურადღებას ილარიონ ჯაშის მოგონებიდან:**

„მამაჩემი ყოველ წელიწადს ნივთების სიას ადგენდა და იქვე უწერდა ფასს, ერთი დიდი თვალი იყოვო ცერზე უმსხოსი – იტყოდა ხოლმე – სანთელთან რომ მივიტანდი ათასნაირათ ბრჭყვიალებდაო. გარდა ამისა, იყო ერთი მიტრა სულ ძვირფასი თვლებით მოჭედილიო. სიაში ამნაირათ ვიხსენებდიო: თვალი – დაუფასებელი, მიტრა – დაუფასებელი. ბლაღოჩინმა გურგენიძემ (მცხეთის დეკანოზია) გვიბ(რ)ძანა მე და მღვდელსაო, ეგრე არ შეიძლება, ერთხელაც არის უნდა დაფასდესო, მცხეთას ჩამომიტანეთ, ქალაქში მე თ(ვ)ითონ წავიღებ და ფასს შევიტყობო“.

ბლაღოჩინის ბრძანება მალე აღუსრულებიათ ლარგვისის მონასტრის მესვეურთ – „მალე ავასრულეთ, მაგრამ ძვირფასი თვალი და მიტრა აღარ დაგვბრუნებია უკანო“...

**„ამისთანა შესანიშნავები სხვა ათასიც რამ არის ჩვენს ქსნის ხეობაზე, მაგრამ ყურის გდება არ უნდა? როდესაც ყველაფერი გამოგვეცლება ხელიდან, ვიშ-ვიშს მაშინ მოვყვებით, მაგრამ გვიანღა იქნება. ნუთუ ამ ნივთთა მისთვის მოატანეს აქამომდე, რომ მეცხრამეტე საუკუნის შვილთ მოუღონ ბოლო?“** – დასძენდა გულისტკივილით ილარიონ ჯაში. სამწუხაროდ, ახდა მისი წინათგრძნობა, რაც მეცხრამეტე საუკუნის შვილთ გადაურჩათ, მეოცე საუკუნის შვილებმა მიიტაცეს... დღეს კი, მხოლოდ ქსნის ხეობის საგანძური კი არა, ქსნის ხეობაც წაგვართვეს გადამთიელებმა...

## „შენი ჭირიმე, ჩემო სიცოცხლე“...

**ქსნის ხეობის ისტორიულ მასალებზე მუშაობისას არაერთი ისეთი წყარო მინახავს, რომელიც ჩემი კვლევის სფეროს არ ეხებოდა, მაგრამ იმდენად საინტერესო იყო, გვერდს ვერ ავუვლიდი.**

მათ შორის 1786 წლის 1 მარტით დათარიღებული წერილი **იოანე ამილახვრიშვილისა** სპარსეთიდან ქართლში ცოლისადმი.

„თათიავ

ქ. შენი ჭირიმე, ჩემო სიცოცხლე. რატომ ეგრე მომიძულე. ამდენ ხანს ერთი შენი წიგნი არ მომაშველე. ხომ იცი, ჩემი მაცოცხლებელი შენი მშვიდობა და შენი წიგნია.“

როგორც ჩანს, იოანე მეცხრე წერილს უგზავნის ცოლს, მაგრამ პასუხს ვერ იღებს, რის გამოც ძალიან შეწუხებულია, „ღმერთმა ისე შენი მტერი შეაწუხოს, როგორც ამდენის ხნის შენის ამბის უსმენობით მე ვიყოო“ – წერს. თავსაც ინუგეშებს – ალბათ წიგნს ბევრს მომწერდი, მაგრამ გზაში დაიკარგებოდაო...

იოანეს უდიდესი სიყვარული მეუღლისადმი კიდევ უფრო ნათლად იკვეთება სიტყვებში: **„თუ შენი წიგნი არ მომივიდა, მოგიკვდები და შენმა მზემ ჩემისთანა შენთვის მკვდარს ვერავის იშოვი და ნება შენია. ჩემო ხელმწიფევ, გებრალებოდეს შენთვის მკვდარი იოანე“.**

წერილში ერთი საინტერესო დეტალიც იქცევს ყურადღებას: **„ბატონს ჯაფარიძის (ქალს), სარდლის დედას, შენთვის და ჩემთვის დედისაგან ნამეტნავად ამაგდარს ძუძუს კოცნას მოვახსენებთ, ღმერთმა ჩვენც გადაგვახდევინოს მაგათი ამაგი“...** ამ ფრაზიდან ჩანს, როგორი თაყვანისცემით მოიხსენიებს იოანე მისთვის დედასავით ამაგდარ ჯაფარიძის ქალს და უთვლის ძუძუზე კოცნას... მახსენდება რაფიელ ერისთავის გენიალური ნათქვამი: „სამშობლო დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა, ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორთავ თვალზედა“. ქართველი კაცისთვის, დედის ძუძუ წმინდაა, ხატივით სათაყვანოა...

ეს წერილი კი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, როგორ უყვარდათ და ეფერებოდნენ საქართველოში ქალს და როგორ აღმერთებდნენ დედას!

**(გაგრძელება იქნება)**

# „ყბედობა საქმის კეთების ნაცვლად“




**4 სექტემბერს პარიზში „მსურველთა კოალიციის“ მონაწილეებმა საზეიმოდ განაცხადეს უკრაინაში შემაკავებელი ძალების განლაგებისთვის მზადყოფნის შესახებ. 26 ქვეყანა შთამბეჭდავი ციფრია. ემანუელ მაკრონმა არ დაასახელა არც კონტინგენტის რაოდენობა და არც კონკრეტული ქვეყნები, რათა რუსეთისთვის არ გაემხილად კონკრეტული დეტალები. რუსეთიდან პასუხმაც არ დააყოვნა — ვლადიმერ პუტინმა აღმოსავლეთის ეკონომიკურ ფორუმზე გამოსვლისას განაცხადა: „თუ იქ ჯარი გამოჩნდება, განსაკუთრებით ახლა, მაშინ ჩვენ ამ სამიზნეებს გავანადგურებთ“.**

## ღამე, რომელმაც ყველაფერი შეცვალა

**რუსეთმა, 7 სექტემბერს, ამ სამი წლის განმავლობაში, ყველაზე ძლიერი დარტყმა განახორციელა უკრაინაზე — უკრაინის ქალაქებში 818 დრონი და რაკეტა ჩამოაგდო. სამ დღეში კი, 19-მა რუსულმა დრონმა გადაკვეთა პოლონეთის საზღვარი.**

ნატოს ისტორიაში პირველად, ალიანსის ძალები პირდაპირ კონფლიქტში შევიდნენ რუსულ საბრძოლო სისტემებთან. პოლონური F-16-ები და ჰოლანდიური F-35-ები შვიდი საათის განმავლობაში მოძრაობდნენ წრეზე და ოთხი დრონი ჩამოაგდეს. პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა დონალდ ტუსკმა ამას ნატოზე პირველი პირდაპირი თავდასხმა უწოდა. თუმცა, უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მხოლოდ ალიანსის წესდების მე-4 მუხლი აამოქმედა, რომელიც კონსულტაციებს ითვალისწინებს. საქმე მე-5 მუხლამდე, რაც კოლექტიურ თავდაცვას გულისხმობს, არ მისულა.

## დოლარი ყველაფერს წყვეტს

**სანამ მაკრონი ევროპულ სოლიდარობაზე საუბრობდა, საზღვარგარეთ ახალი გეგმა მზადდებოდა. ტრამპის ადმინისტრაცია ნატოს აღმოსავლეთ ფლანგზე მდებარე ქვეყნებისთვის სამხედრო დახმარების პროგრამების შემცირებას გეგმავს.**

საუბარია აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის 333-ე მუხლსა და ბალტიისპირეთის ქვეყნების უსაფრთხოების ინიციატივაზე — ასობით მილიონი დოლარი, რომელიც ბალტიისპირეთის ქვეყნების არმიების წვრთნებზე იხარჯებოდა, აღარ დაიხარჯება.

## წარუმატებლობის ფსიქოლოგია

**ფრანგების 68% უკრაინაში ჯარისკაცების გაგზავნის წინააღმდეგია მაშინაც კი, თუ საბრძოლო მოქმედებები შეწყდება. თუმცა, საქმე მხოლოდ საზოგადოებრივ აზრს არ ეხება. ევროპული ელიტა საკუთარი ლოგიკის ხაფანგშია გახვეული.**

სამწელიწადნახევარიანმა ომმა თანმიმდევრული ტენდენცია გამოავლინა: ხმამაღალი განცხადებები, რასაც მოჰყვება დეტალებზე ხანგრძლივი დებატები, შემდეგ კი დახმარების შემცირება, თვეების დაგვიანებით.

## თამაშის ახალი წესები

**პოლონეთის ცაში რუსული დრონები არ არის ნავიგაციის შეცდომა ან ტექნიკური გაუმართაობა, ისინი გზავნილია. მოსკოვი ნატოს მოთმინებისა და ალიანსის რეალური ომისთვის მზადყოფნის ზღვარს ცდის. პუტინი ხვდება, რომ დასავლელი ლიდერების სიტყვებსა და ქმედებებს შორის უფსკრული არსებობს.**

უზარმაზარი განსხვავებაა ნატოს ტერიტორიის ყოველი სანტიმეტრის დაცვის დაპირებასა და პოლონეთის ან ესტონეთისთვის ბრძოლის მზაობას შორის. პოლონეთში მომხდარმა ინციდენტმა აჩვენა, რომ ალიანსის ტერიტორიაზე პირდაპირი თავდასხმაც კი არ იძლევა ავტომატურ რეაგირების გარანტიას.

## უკრაინა ჩიხშია

**ვოლოდიმირ ზელენსკისთვის პარიზის სამიტი ბოლო წვეთი იყო. თუმცა, ეს წვეთი ილუზორული აღმოჩნდა. ევროპულ ძალებს დღეს რუსული დრონების შეჩერება არ შეუძლიათ. „სანქციების პაუზა ძალიან დიდი ხანია გრძელდება“,** — განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა რუსული დარტყმის შემდეგ. თუმცა, სანქციები წარსულს ჩაბარდა.

## ჩინური ფაქტორი

**პეკინი, უკრაინაში ომის გამო, ჩინეთზე განხორციელებულ ეკონომიკურ ზეწოლას „მტკიცედ ეწინააღმდეგება“. სი ძინპინი მეორე მსოფლიო ომის დასრულების 80 წლისთავისადმი მიძღვნილ აღლუმზე, პუტინისა და კიმ ჩენ ინის გვერდით იდგა.**

სიმბოლიზმი ნათელია: დაბნეული დასავლეთის თვალწინ ახალი ღერძი ყალიბდება. მოსკოვსა და პეკინს შორის **„საზღვრების გარეშე მეგობრობა“,** რომელიც უკრაინაში შეჭრის წინა დღეს გამოცხადდა, რეალობად იქცა. ევროპა კი, ამერიკის სახით, უფროსი ძმის გარეშე დარჩა.

## ეპილოგი — უმეცრების ფასი

**მსურველთა, მაგრამ მერყევი კოალიცია, სინამდვილეში, „სკეპტიკოსთა კოალიცია“ აღმოჩნდა. ისტორია გვიჩვენებს, რომ ძლიერი მხარე ყოველთვის სცდის მოწინააღმდეგის სიმტკიცეს — სუდეტის ოლქი, ყირიმი, ახლა კი პოლონეთის ცა.**

ლოგიკა ყოველ ჯერზე იგივეა, თუ მტერი არ არის მზად პატარა რამისთვის საბრძოლველად, ის არც დიდისთვის იბრძოლებს. ევროპა საკუთარი დაპირებების ხაფანგში გაეხვა — უკრანას ბევრ რამეს დაჰპირდა, მაგრამ ძალიან ცოტა გააკეთა მოსკოვის შესაკავებლად. კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი დეტალი — წინ გრძელი და ცივი ზამთარია, რომელიც შეიძლება, საბედისწერო აღმოჩნდეს...

**TRT-დან თარგმნა**

**ქეთი გიორგაძემ**




# ტერმინატორი კარგად ლაპარაკობს...



ბრიტანულ გაზეთ **„ინდეფენდენთში“ (The Independent)** გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **„არნოლდ შვარცენეგერმა სტუდენტებს გულახდილად გაუზიარა თავისი პოზიცია ჩარლი კირკის მკვლელობასთან დაკავშირებით: „ტერმინატორი კარგად ლაპარაკობს“,** — ასე შეაფასეს ახალგაზრდებმა კინოვარსკვლავისა და ყოფილი გუბერნატორის თვალსაზრისი“ (ავტორი — **ჯეიკობ სტოლუორთი**).

**გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:**

**არნოლდ შვარცენეგერმა სტუდენტებისაგან ქება დაიმსახურა მას შემდეგ, რაც იგი ემოციურად გამოვიდა ჩარლი კირკის მკვლელობასთან დაკავშირებით.**

ჰოლივუდის კინოვარსკვლავმა და ყოფილმა რესპუბლიკელმა პოლიტიკოსმა სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის სტუდენტებთან ვიდეოშეხვედრისას თქვა, რომ ძალიან არის ხოლმე დამწუხრებული, როცა ვინმეს სიცოცხლეს უსპობენ განსხვავებული აზრის გამოთქმის გამო.

როგორც ცნობილია, პოლიციამ უკვე დააპატიმრა ტაილორ რობინსონი, რომელსაც ბრალად რესპუბლიკელი აქტივისტის ჩარლი კირკის მკვლელობა წაუყენეს.

თავის მხრივ, „ტერმინატორმა“ აღნიშნა, რომ მკვლელობის მიზეზი უფრო ღრმად არის საძიებელი და მიანიშნა, რომ სოციალურ ქსელებში და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სიძულვილის დათესვის კამპანია მიმდინარეობს, რასაც გარკვეულწილად პოლიტიკოსებიც — დემოკრატები და რესპუბლიკელები — აღვივებენ თავშეუკავებელი გამოსვლებით და განცხადებებით.

„ჩვენ, მოქალაქეებს, ყოველი მხრიდან „გვირტყამენ“ და თავს გვახვევენ ისეთ აზრებს, რომლებიც მიუღებელია ნორმალური საზოგადოებისათვის. ამიტომ ძალიან დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, რათა უფსკრულის პირას არ მივიდეთ. და თუ გადავიჩეხებით, მერე უკვე გვიან იქნება დემოკრატიაზე და უფლება-მოვალეობებზე ფიქრი“, — თქვა არნოლდ შვარცენეგერმა, რომელიც კალიფორნიის შტატის გუბერნატორი იყო 2003-2011 წლებში.

„ტერმინატორმა“ მოუწოდა სტუდენტებს, რომ სხვადასხვა პოზიციაშეხედულებების მიუხედავად, გაერთიანდნენ და ერთმანეთთან ურთიერთობა გააღრმავონ. „თქვენ, ახალგაზრდებმა, უნდა აჩვენოთ ამერიკის საზოგადოებას, მთელ მსოფლიოს, რომ იმ სახალხო ძალას წარმოადგენთ, რომელსაც ცივილიზებულად შეუძლია სიტუაცია უკეთესობისკენ შეცვალოს“, — მიმართა კინოვარსკვლავმა უნივერსიტეტის სტუდენტებს.

„თქვენ იქნებით აშშ-ისა და მსოფლიოს უნივერსიტეტებისათვის მაგალითი, თუ როგორი ურთიერთობა უნდა გქონდეთ ერთმანეთთან. თქვენ უნდა აჩვენოთ, რომ სხვებს მტრულად კი არ უყურებთ, არამედ ტოლერანტული მიდგომა გაქვთ განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების მიმართ... თქვენ უნდა აჩვენოთ, რომ ცეცხლს ცეცხლითვე არ ებრძვით და ერთმანეთს ომს არ უცხადებთ“, — თქვა ყოფილმა გუბერნატორმა და დასძინა: „ხალხის ხელისუფლება უმაღლესი ხელისუფლებაა, სწორედ ამაში არის დემოკრატიის არსი. ყურს ნუ უგდებთ (ოდიოზურ) პოლიტიკანთა მქადაგებლობას, მოუსმინეთ რიგით თანამოქალაქეებს, მოუსმინეთ სერიოზულ ადამიანებს, ჩაებით დისკუსიაში და დასკვნები გააკეთეთ“.

მსახიობის თაყვანისმცემლებმა სოციალურ ქსელებში მოიწონეს „ტერმინატორის“ აწონილ-დაწონილი გამოსვლა. ერთ-ერთმა ასე დაწერა: **„კარგად ლაპარაკობ, არნოლდ. მეტი დისკუსია და ნაკლები მრისხანება“.** მეორემ აღნიშნა: **„მართლაც კარგად ილაპარაკა. მე მისი დიდი თაყვანისმცემელი არ ვარ (პოლიტიკას რაც შეეხება), მაგრამ მან ზუსტად თქვა ის, თუ რაშია პრობლემა და როგორ უნდა გადაიჭრას“.** მესამემ ხაზი გაუსვა: **„არ შემიძლია არნის არ დავეთანხმო. სიფრთხილე გვმართებს: სოცქსელებში ადამიანმა შესაძლოა ადამიანურობა დაკარგოს. ნუ შევურაცხყოფთ ერთმანეთს. ნუ გავაღვივებთ ერთმანეთისადმი სიძულვილს. ნუ მივცემთ საკუთარ თავს ამის უფლებას“.**

შეხვედრის დასრულების შემდეგ არნოლდ შვარცენეგერმა ინტერნეტში თავის ვებ-გვერდზე კომენტარები გამოაქვეყნა: „ამ ვიდეოს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მთლიანობაში, ვიდრე ჩემს კონკრეტულ ნათქვამს. ეს ის არის, რაც ყველასთვის აუცილებელია:

**ისაუბრეთ ლანძღვაგინების გარეშე, ნუ გამოავლენთ ერთმანეთის უპატივცემლობას. არავითარი ყვირილი და მწარე ეპითეტები“.**

„ვიცი, რომ სოციალური ქსელები ხშირად ადამიანების ყველაზე ნეგატიურ მხარეებს აჩენს. სამწუხაროდ, ხდება ხოლმე, რომ ადამიანთა მცირე ჯგუფი თავიანთი მიუღებელი და შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით უფრო მეტ ყურადღებას იზიდავს, ვიდრე მშვიდად და სერიოზულად მოსაუბრეები. თავი შეიკავეთ იმ ადამიანებთან კონტაქტებისაგან, რომლებიც გამომწვევი ქცევით და ყვირილით ცდილობენ თავიანთი ხედვა-პოზიციების თავს მოხვევას. ისინი, საერთოდ, უმცირესობაში არიან და მათ დიდი ყურადღება არ უნდა დავუთმოთ. მათ სწორედ ის უნდათ, რომ წყობიდან გამოგიყვანონ, საპასუხო პოსტები გამოაქვეყნოთ და ლაიქები დაუსვათ, ანუ მათ პოპულარობას ხელი შეუწყოთ“, — დაამატა არნოლდ შვარცნეგერმა.

„ტერმინატორმა“ მაღალ დონეზე შეაფასა შეხვედრა, რომელშიც სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის 500-ზე მეტი სტუდენტი მონაწილეობდა. მან მადლობა უთხრა ახალგაზრდებს, რომ მის მიმართ ყველამ პატივისცემა გამოავლინა: **„მჯერა, რომ ინტერნეტის მიღმა რეალურ ცხოვრებაშიც ასეთი სერიოზულები ხართ. თუ შეატყობთ, რომ სოციალურ ქსელებში ადამიანობას კარგავთ, გამოდით რეალურ ცხოვრებაში და ისევ ადამიანები გახდებით“.**



მოამზადა
**სიმონ კილაძემ**



## ნიგარ ალახვერდიევა

# რუსთველის სიტყვით უნდა დაიწვე...

მარნეულის რაიონის სოფელ არაპლისში დაიბადა. 1984 წელს დაამთავრა ა.ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის აზერბაიჯანული და რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. 1985 წლიდან დღემდე მუშაობს თბილისის N64 საჯარო სკოლაში ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. მისი მხატვრული და პუბლიცისტური წერილები გამოქვეყნებულია გაზეთ „საქართველოში" („გურჯისტანი"), წიგნში „ქარავნის გზა" და სხვ. არის სამი წიგნის – ლექსთა კრებულის ავტორი.

ქალბატონი ნიგარი ორი შვილის დედაა. ქალიშვილი მუშაობს ანკარაში, „ბილქენტის" უნივერსიტეტში, ის ფილოლოგიის დოქტორია. ჰყავს შვილიშვილები.

**დღეს გთავაზობთ ნიგარ ალახვერდიევას რამდენიმე ლექსს საქართველოსა და ქართველებზე.**

— — — — — — — — — — — — — — — — — — — —

### საქართველო — ჩემი სამშობლო

ჩემი საქართველო — მშვენიერი დასტანია,
სახელი აქვს მზიანი — ეს საქართველოა,
ზნეობა დიდია, სული სავსეა,
წყალი კი მარგალიტივით წმინდაა.

ვინც მოდის, გულით ეგებებიან,
ყოველ მხარეს სინათლე ანათებს.
მოწყალება აქაა, პატივისცემა აქაა,
არავის ტოვებენ ცივ ქარში გარეთ.

თუ ტკბილი არაა — მაშინ ეს ქართველი არაა,
ყოველი სიტყვა — სიმღერაა, ჰანგით სავსე,
ერთიანობა აქაა, ძმობა აქაა,
ყოველი კუთხე სამოთხეა — ჩემო საქართველო!

### „გენაცვალე"

ჩემს სამშობლოს, მთას და ველობს
ჰქვია ტურფა საქართველო,
საამური აქვს ბუნება
წყლებით წყლულნი იკურნება.
ხელგაშლილი ხვდება სტუმარს
სხივმფინარეს მტერიც უყვარს.
ღირსებით და პატივგებით
არვის ტოვებს ჭირში, გზნებით,
ტკბილქართული შაქრად ვთვალე
ერთი სიტყვა „გენაცვალე",
სიცოცხლისა წყაროვ, ქველო —
ჩემო კარგო საქართველო!

### საქართველოს დროშა

ძველთ-უძველესი ალამი, დროშა
მაღლა დგას ყოველთვის, ყველა დროსა.
ფრიალებს კოხტად, ფრიალებს ლაღად,
სიცოცხლის, რწმენის, მზის ბაირაღად.

ის არის ჩვენი ქვეყნის რაობა
ნიშანი, — რომ გვაქვს სულ მოძრაობა.
ის მაამაყებს, ქედს ვუხრი წრფელად,
შუქს ჰფენს სამშობლოს, სხივობს ნათელად.

აღმართული გვაქვს თავზემოთ მუდამ
მე, ნიგარს, მისით მეწვია მუზა.

### აქ გურჯისტანია

გურჯისტანია, ირგვლივ, აშუღო,
თუ იწყებ ბარემ მისით დაიწყე!
დიდი საგმირო დასთნის აწყობას
თუ ეპირები, მისით აიწყვე!

თვალებს ახარებს მტკვრის ნაპირები,
მისი ჭალები და ყვავილები,
მე მის ტრფობაში ვცურავ, ვივლები
შენც მასში კალმად, ივლ-ამოიწე.

გულისთქმა თვალთაგან ამოუკითხე
სულში დაივანე და გულში აინთე
ვეფხვის ბუხუნად ლექსი რომ დინდეს,
რუსთველის სიტყვით უნდა დაიწვე!..

### სკოლის დირექტორ ხათუნა შენგელიას

მასწავლებლობა ძლიერ რთულია
ქვეყნად ვერ ნახავ მასზე დიდ ჯაფას,
ნიზამიზე და შოთაზე ადრე
მასწავლებლობა უქიათ სხვასაც,
შენ დირექტორი არა ხარ მხოლოდ,
ჩვენთვის ხიდობა ბედმა გარგუნა!
დარბაისელო ქართველო ქალო,
დიდი მადლობა, ჩვენო ხათუნა!



# ჯიგრები

## ვუძღვნი ძმაკაც აჩიკო გოგელიას

**მკითხველთან საუბარი მექნება ნაღდ კაცებზე, თბილისური ჟარგონით, „ჯიგრებზე". მართალი მოგახსენოთ, ამაზე სასაუბროდ აღმძრა გურამ რჩეულიშვილის (თავად ნაღდი კაცი, „ჯიგარი") მოთხრობამ, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ გაიტაცეს ლეკებმა ქართველი ქალი, ხოლო ქალმა რა ძალუმად უკბინა ლეკს მკლავზე, ისე, რომ ნაკბენიდან სისხლმა იფეთქა. ქართველი ქალის საპასუხო განგმირვას, ისევ მისი სილამაზე გადაარჩენს – „ლამაზია გურჯი ქალი!" – იტყვის მასზე ხანჯალაღმართული ლეკი.**

საკმარისად ბანალური მოვლენაა, – მეუბნება მეგობარი და სიცილით პოპულარულ ფილმს შემახსენებს, „კინგკონგს", სადაც ქალი, მისი სილამაზის გამო, დიდ მაიმუნს უყვარდება.

მაგრამ მართლაც ასეთ „ბანალურ" შემთხვევასთან გვაქვს საქმე? „სილამაზე ფასეულობას წარმოადგენს" – წერს გამოჩენილი ფილოსოფოსი ნიკოლაი ლოსკი (**Н. О. Лосский, Мир как осуществление красоты, М. 1998**). თეოდორ ლიპსკი კი (**Theodor Lipps**), თავის „ესთეტიკაში" (1906 წ.) წერს: „როდესაც ობიექტს ჩემი ნებით ვწვდები, განვიცდი, ეს გახლავთ სიმპათია".

დოსტოევსკი, თავისი გენიალურობით, გვამცნობს დმიტრი კარამაზოვის პირით: „სილამაზე – ეს საშინელი და შემაძრწუნებელი რამაა, საშინელია იმიტომ, რომ განუსაზღვრელია, ხოლო განსაზღვრება შეუძლებელია იმიტომ, რომ ღმერთმა მოგვცა მხოლოდ გამოცანები. აქ ნაპირები ერთმანეთს უახლოვდება, აქ ყველა წინააღმდეგობა ერთად ცხოვრობს... სილამაზე! ამასთან ამის ატანა არ შემიძლია, რომ ზოგი, გულით უმაღლესი ადამიანი და მაღალი გონებით, იწყებს მადონას იდეალით, ხოლო ამთავრებს სოდომის იდეალით... რაც გონებას წარმოუდგება შერცხვენად, გულს წარმოუდგება მხოლოდ სილამაზედ... შემაძრწუნებელი ისაა, რომ სილამაზე არის არა მხოლოდ საშინელი, არამედ იდუმალი რამეც. აქ ეშმაკი ებრძვის ღმერთს, ხოლო ბრძოლის ველი – ადამიანთა გულებია".

საქართველოს რეალობას რომ გავცდეთ, ჯეკ ლონდონი და ერნესტ ჰემინგუეი, მიუხედავად ქრისტიანობისადმი მათი დაშორებულობისა, „ჯიგრები" არ არიან? და კიდევ მრავალი სხვა, ვინც ამ სახელს იმსახურებს... საბოლოო ჯამში, ჩემი ჭვრეტით, „ჯიგრები" ეს იგივე რაინდებია, რომლებიც აღფრთოვანებას იმსახურებენ ელისაბედში, ვაგნერის ოპერიდან „ტანჰოიზერი".

თითოეული, საქართველოსთვის, და არა საკუთარი ინტერესებისათვის, მოქნეული ხმალი, განა რაინდული ღირსების მატარებელი არ გახლავთ?!

# ყინწვისის ანგელოზი

## ვუძღვნი სახელოვან პოეტს ემზარ კვიტაიშვილს



**ლიტერატურის მოყვარულს, ყინწვისის ანგელოზის ხსენებისას, უმალ გაახსენდება ლევან გოთუას ამავე სახელწოდების მშვენიერი მოთხრობა, მაგრამ მე კიდევ სხვა სიღრმეებისკენ ვისწრაფვი.**

ანგელოზებზე მოძღვრება ძველ და ახალ აღთქმაში გულისხმობს არამიწიერ არსებას, რომელიც ფრთებით შემკული იმყოფება ღვთის, ან... ეშმაკის სამსახურში (ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ავგუსტინეს **Sermo** 7,3 ან გრიგოლ დიდის **Hom**.ევანგელეზე 34.8). უშუალოდ მაინტერესებს, თუ როგორ აქვთ აღმართული ფრთები კეთილ და ბოროტ არსებებს (კეთილი ანგელოზების – სერაფიმებისა და ქერუბიმების ფრთების განლაგებაზე აქ არ მექნება საუბარი, რადგან ბიბლიის მცოდნეებმა ეს ისედაც იციან). კეთილი ანგელოზის ფრთების საილუსტრაციოდ მოვიხმობ ლეონარდო და ვინჩის გასაოცარ სურათს, სადაც მუხლმოყრილი ანგელოზი ღვთისმშობელს ახარებს, რომ მას შეეძინება ძე, ხალხთა მხსნელი ეშმაკის მახეებისგან. უკვე ანგელოზის მშვენიერი სახე გაოცებას იწვევს თავისი უღრმესი სერიოზულობითა და მაღლა აზიდული ფრთებით. ამის საპირისპიროდ არსებობს დემონის გამოსახულება შავი ფრთებითა და ლამაზი სახით. ეს რუსი მხატვარი ვრუბელია, რომელიც ასეთად ასახავს დემონს, როდესაც იგი აცდუნებს თავადის ქალს (ლერმონტოვის პოემიდან), ან კი დაცემულ დემონს, ირგვლივ მიმოფანტული ფრთების ნაკუწებით.

მაგრამ არსებობს იტალიელი მხატვრის ჯოვანი სეგანტინის (1858-1899) სურათიც, სადაც გამოსახულია თეთრ პერანგებში გამოწყობილი მომღიმარე შეყვარებულთა წყვილი, რომელიც ცხოვრების წყაროსკენ ისწრაფვის, ხოლო აქ კი იმყოფება უმშვენიერესი ანგელოზი დაშვებული ფრთებით. რა ელოდება შეყვარებულ წყვილს? ამის გადაწყვეტას მხატვარი მნახველს ანდობს.

საერთოდ კი, სრულიად დახრილი ფრთები უბედურების ნიშანია.

შენ დაიფარე, აზიდული ფრთებით, საქართველო, ყინწვისის ანგელოზო!

**ვიქტორ (დოდო) რცხილაძე**

## სახელმწიფო შესყიდვების მინისტრად ხელოვნური ინტელექტი დაინიშნა

**ალბანეთის პრემიერ-მინისტრმა ედი რამამ „სოციალისტური პარტიის" ყრილობაზე ხელოვნური ინტელექტით მართული ვირტუალური ასისტენტი, სახელად დიელა სახელმწიფო შესყიდვების მინისტრად წარადგინა.**

პრემიერის განცხადებით, ახალი „მინისტრის" მთავარი მოვალეობა სახელმწიფო შესყიდვების გადახედვა, დამტკიცება და ქვეყანაში კორუფციის აღმოფხვრა იქნება. დიელა ქვეყნის ელექტრონულ სამთავრობო პლატფორმა e-Albania-სთან პირდაპირ იქნება დაერთებული. ახალი „მინისტრი" წარდგენილ დოკუმენტებს შეაფასებს და თავად გადაწყვეტს, უნდა დამტკიცდეს თუ არა პროექტი. ამიერიდან სახელმწიფო ტენდერები სწორედ მის ხელთ იქნება. პრემიერ-მინისტრი პირობას დებს, რომ ახალი „მინისტრი" ქვეყანაში ნამდვილ გამჭვირვალობას შემოიტანს, რადგან მას ვერავინ მოისყიდის და, შესაბამისად, საქმესაც სახელმწიფო ინტერესებით გააკეთებს.

— — — — — — — — — — — — — — — — — — — —

## იაპონურმა პოლიტიკურმა პარტიამ ლიდერად ხელოვნური ინტელექტი აირჩია

**ახალგაზრდა იაპონურმა პოლიტიკურმა პარტიამ „გზა აღორძინებისკენ" (Reiwa Shinsengumi), განაცხადა, რომ მისი ახალი ლიდერი ხელოვნური ინტელექტი იქნება.**

The Japan Times-ის ცნობით, პარტია მიმდინარე წლის იანვარში პატარა ქალაქ აკიტაკატას ყოფილმა მერმა **შინჯი იშიმარუმ** დააარსა. ხელოვნური ინტელექტი პარტიის ლიდერის პოსტზე მას შემდეგ დაინიშნა, რაც თავად იშიმარუ ივნისში ტოკიოს ასამბლეის და ივლისში ქვეყნის პარლამენტის ზედა პალატის წარუმატებელი არჩევნების გამო გადადგა, რადგან პარტიის ყველა კანდიდატმა წააგო.

შიდაპარტიულ არჩევნებში კი ხელოვნური ინტელექტის სპეციალისტმა, 25 წლის ასპირანტმა კოკი ოკუმურამ გაიმარჯვა. გამარჯვების შემდეგ მან განაცხადა, რომ პარტიის ლიდერი ხელოვნური ინტელექტი იქნება, ხოლო თავად კი მის მთავარ თანაშემწედ იმუშავებს.




**ფესტივალის გამარჯვებულები:**

საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი – „თეთრი ბალახი“. რეჟ: **ლუკა ბაჩალიაშვილი;**

ჟიურის სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდა „სოხუმის ფეხბურთელი მერი“. რეჟ: **ენემეო სიდიანი.** სცენარი: **ნანა ქარდავა;**

საუკეთესო დოკუმენტური ფილმი – „ბერნიდან – ბერლინამდე“. რეჟ. **მანფრედ ოლდენბურგი;**

საუკეთესო მხატვრული ფილმი – „კიდევ ერთი მოწონება“. რეჟ: **კაროლი პალფაი;**

ალექსანდრე ჟღენტის პრიზი – „ტოკიოს გიგანტი-ვიქტორ სტარფინის ისტორია“. რეჟ: **ჩავდარ გეორგიევი;**

ნანა მჭედლიძის პრიზი – „მედლის მეორე მხარე“. რეჟ: **ანა მაქსიმი;**

# ღირსეულთა „ნიკე“

**გაიმართა სპორტული ფილმების საერთაშორისო ფესტივალ „ნიკეს“ დაჯილდოების ცერემონია.**

ქართულ სპორტულ კინოში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდა: კინორეჟისორი **მიხეილ ჭიაურელი;**

ქართული სპორტული კინომემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნებისათვის დაჯილდოვდა კინოოპერატორი, სტუდია „მემატიანეს“ დირექტორი **რევაზ მახათაძე;**

ქართული სპორტის და სპორტული კინოს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდა ცნობილი ქართველი ალპინისტი **ზენო ქაშაკაშვილი.**

**საერთაშორისო ჟიური:**

**მარინა კერესელიძე** – ჟიურის თავმჯდომარე (ხელოვნებათმცოდნე, კინოს ისტორიკოსი და ჟურნალისტი, საქართველოს კინოაკადემიის წევრი);

**ირაკლი პაპავა** – ჟიურის თავმჯდომარის მოადგილე (კინორეჟისორი, სცენარისტი, საქართველოს კინოაკადემიის წევრი);



**არსენ არაქელიანი** – კინორეჟისორი, დოცენტი, RAU-ს ტელესტუდიის ხელმძღვანელი, სომხეთის კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი;

**მიხეილ ჭიაურელი** – სცენარისტი, რეჟისორი, პროდიუსერი, საქართველოს კინოაკადემიის წევრი;

**გიგა გვენცაძე** – საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი.

ჟიურის სპეციალური პრიზი – „სამშობლო – საქართველო, ჭიდაობა – ქართული“; ავტორი და პროდიუსერი: **გიორგი შიუკაშვილი;**

გრანპრი – „ბეკენბაუერი, უკანასკნელი კაიზერი“. რეჟ: **ტორსტენ კიორნერი.**

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრმა **დავით ფაცაციამ** დააჯილდოვა, ფილმის „სოხუმის ფეხბურთელი მერი“, რეჟისორი **ენემეო სიდიანი.**

საქართველოს კინოაკადემიის მიერ დაწესებული პრიზი გადაეცა ფილმს „ბერნიდან-ბერლინამდე“ (რეჟ: **მანფრედ ოლდენბურგი**).



# ძალიან ცუდი ფაქტები

**ამას წინათ** მძლეოსნობის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი, ამჟამად საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელი **ალექსი ახვლედიანი**, იმ იარაღის დაუდევრად შენახვისთვის დააკავეს, რომლითაც **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავკაცმა თორნიკე რიჟვაძემ** თვითმკვლელობა, საბედნიეროდ, უშედეგოდ სცადა.

საერთოდ, ტყუილად როდია ნათქვამი, თუ კედელზე თოფი კიდია, ის აუცილებლად გაისვრისო, ტყვია კი, მოგეხსენებათ, სულ რამდენიმე გრამს იწონის, მაგრამ სისხლის ტბებს აყენებს.

17 სექტემბერი **ხვიჩა კვარაცხელიას** მორიგი შედევრით დაგვირგვინდა, მაგრამ სპორტულ-კრიმინალური ქრონიკა იმ დღესაც აქტუალური გახლდათ, რაც, უპირველესად, მომავალი თაობის ფორმირების თვალსაზრისით გახლავთ საგანგაშო. დიახ, როცა საბრალდებო სკამზე დამოუკიდებლობის პერიოდის პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაური** და მსოფლიოს ჩემპიონი **გიორგი კანდელაკი** ხვდებიან, ძნელია ტატამის და რინგის ერთგულება მოთხოვო ახალგაზრდებს და უმტკიცო, რომ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია. თუმცა, კიდევ კარგი, საპირისპირო მაგალითები გაცილებით ჭარბობს.

რაც შეეხება ძიუდოისტს, იგი ერთხელ უკვე იყო მკვლელობის გახმაურებულ ისტორიაში გარეული და საპატიმრო გირაოთი დატოვა, ხოლო ამჯერად იარაღის შეძენა-შენახვა-ტარების მუხლით მიიქცია წესრიგის დამცველთა ყურადღება, რაც სასჯელის სახით 3-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

განსხვავებული სახის უკანონობა ჩაიდინა იმ „შესანიშნავმა შვიდეულმა“, რომელშიც კრივის სახელოვანი ვარსკვლავის სახელი კაშკაშებს. როგორც ირკვევა, ისინი გორის რაიონის სოფელ ორთუბანში მოწყობილ საწარმოში კონტრაბანდული სასმელისა და სიგარეტის მარაგით წლების განმავლობაში ატრიალებდნენ მილიონებს.

მოკლედ, ძველი დამსახურებები და ტიტულები კარგია, მაგრამ იგი დაუსჯელობის სინდრომს არავისთვის წარმოადგენს და ეს ყველას უნდა ახსოვდეს!

**გია პლატონიშვილი**



# მზადება დაიწყო

**ევრობასკეტიდან** გამოთიშვიდან ოთხ დღეში **თორნიკე შენგელიამ** საკლუბო სეზონისთვის მზადება დაიწყო.

ქართველი კალათბურთელი „ბარსელონას“ შეკრებაზე შეუერთდა და კლუბთან ერთად პირველად ივარჯიშა. თორნიკე „ბარსაში“ ზაფხულში „ვირტუსიდან“ გადავიდა და კონტრაქტი 2028 წლის ზაფხულამდე გააფორმა.

„ბარსელონა“ ევროლიგის პირველ ტურში 30 სექტემბერს „ჰაპოელს“ შეხვდება, ხოლო ლიგა ენდესას 5 ოქტომბერს, „ვალენსიასთან“ მატჩით გახსნის.

თორნიკე შენგელიამ ევროპის ჩემპიონატზე ყველა თამაშში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ მატჩში 12.9 ქულას, 3.9 მოხსნას და 3.1 პასს აგროვებდა.



# ერთი მსახიობის თეატრი

**ხვიჩა კვარაცხელიამ და პსჟ-მ ჩემპიონთა ლიგის ახალი სეზონი შესანიშნავად დაიწყეს. პარიზელებმა 4:0 მოიგეს, ხოლო ქართველმა ტურნირში მე-6 გოლი გაიტანა და ბერგამოს ატალანტასთან მატჩის MVP გახდა.**

ფრანგულ-იტალიურ მედიაში კვარაცხელიას თამაშს შემდეგნაირად გამოეხმაურნენ:

**Eurosport 7.5 ქულა:** „ის ჯიმსიტის და ჰიენს იცილებს და მიზანმიმართული დარტყმით კარნეზეკის ჯობნის. შემდეგ ჩვეული ფინტები და პასები იყო. „ნაპოლის“ ექს-ფეხბურთელი მოედანზე უდავოდ ერთ-ერთი საუკეთესო იყო“.

**Calciomercato 7.5 ქულა:** „გოლის ეპიზოდში ყველაფერი მარტომ გააკეთა. სანახაობა, რომელიც სერია A-ს აკლია“.

**Tuttomercato 7 ქულა:** „საუკეთესო ფორმაში არ არის, მაგრამ ყველაფერს აკეთებს, რაც შეუძლია, აერთიანებს კაშკაშა დრიბლინგებს და შეტევის ზუსტ დასრულებას, რათა „ატალანტას“ დაცვა აწამოს. გოლი გაიტანა შეუჩერებელი სირბილით, რომელიც მარჯვენა ფეხით კუთხეში ძლიერი დარტყმით დაასრულა და კარნეზეკის შანსი არ დაუტოვა. მისი არაპროგნოზირებადობა და მეტოქის მოტყუების უნარი პარიზელთა შეტევის სასიკვდილო იარაღია“.

**Footmercato 7 ქულა:** „დღეს უკეთესად ითამაშა, თუნდაც მარჯვენა ფლანგიდან, რომელიც როგორც ჩანს, მისთვის ნაკლებად შესაფერისია. „ნაპოლის“ ყოფილ ფეხბურთელს ყველაფერი არ გამოუვიდა, მაგრამ სეზონის სტარტზე საუკეთესო თამაში ჩაატარა“.

**Paris fans 8 ქულა:** „სწორ დროს დაბრუნდა – ჩემპიონთა ლიგაზე. პირველ ტაიმში ყველაფერი გამოსდიოდა და დაჯილდოვდა გოლით, რომელიც თავად შექმნა“.

**შეგახსენებთ,** რომ ხვიჩა კვარაცხელიას მიმდინარე სეზონში პსჟ-ს მაისურით ყველა ტურნირზე ხუთ შეხვედრაში 1 გოლი აქვს გატანილი. „პარი სენ-ჟერმენი“ მომდევნო მატჩს 21 სექტემბერს, სტუმრად „მარსელთან“ გამართავს, ხოლო ჩემპიონთა ლიგის მეორე ტურში 1 ოქტომბერს, „ბარსელონას“ ესტუმრება.

# უძლიერესნი

**2 ოქროთი ბრუნდებიან სამშობლოში ბულგარეთში გამართული მსოფლიო ჩემპიონატიდან ქართველი პარამკლავჭიდელები.**

ქუთაისელმა **ვახტანგ ახობაძემ** ფინალში რუს მეტოქეს სძლია და მე-4(!) ტიტული მოიხვეჭა, ხოლო იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს სამოქალაქო რეესტრის დეპარტამენტის კახეთის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის თანამშრომელი **ზაურ ქათამაძე** მესამე კარიერულ ოქროს დაეუფლა.





# ძვირფასი ვერცხლი

**საქართველოს პარამოფარიკავე ქალთა ნაკრები ინდონეზიაში გამართული 2025 წლის მსოფლიო თასის გათამაშების ვიცე-ჩემპიონია.**

ტურნირის ფინალურ შეხვედრაში ჩვენი გუნდი ტაილანდის ნაკრებთან ანგარიშით 14:20 დამარცხდა და ვერცხლის მედალს დასჯერდა.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში **ირმა ხეცურიანი, ნინა თიბილაშვილი** და **გვანცა ზადიშვილი** გამოდიოდნენ.

ინდონეზიაში გამართული მსოფლიო თასიდან საქართველოს პარამოფარიკავე ქალთა ნაკრები სამშობლოში, ჯამში, ექვსი მედლით ბრუნდება.

# არმანის რეკორდი

**ტოკიოში მიმდინარე მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე არმან დუპლანტისმა მორიგი, მე-14 მსოფლიო რეკორდი დაამყარა.**

25 წლის შვედმა მესამე ცდზე 6.30 მეტრის სიმაღლე დაფარა, რითაც თავისივე მსოფლიო რეკორდი მოხსნა. დუპლანტისი ზედიზედ მესამედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, და ჯილდოდ 100 000 დოლარიც ერგო.

მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი ბერძენმა ემანუელ კარალისმა მოიპოვა, რომელმაც 6 მეტრის სიმაღლე დაძლია, ხოლო ბრინჯაო ავსტრალიელ კერტის მარშალს ხვდა. (5.95).

აღსანიშნავია, რომ ჭოკით ხტომაში პირველად დაფიქსირდა შემთხვევა, როცა 5.90 მეტრის სიმაღლე ერთ ტურნირზე შვიდმა მონაწილემ დაძლია, ხოლო 5.95 მეტრის დაძლევა მედლისთვის საკმარისი არ გამოდგა.



# სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის

# განცხადება

## ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის პირველი სექტემბრის N1- 1/329 ბრძანების შესაბამისად

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს საქართველოს მთავრობის 2025 წლის 09 ივნისის N942 განკარგულების („ქ. თბილისში ახალი სტადიონის მშენებლობის მიზნით სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“) შესაბამისად დაევალა სახელმწიფო მნიშვნელობის პროექტის განხორციელება, კერძოდ უეფას მე-4 კატეგორიის 70 000 მაყურებელზე გათვლილი სტადიონის მშენებლობის პროექტის განხორციელება. აღნიშნული პროექტი ქვეყანას საშუალებას მისცემს განახორციელოს საერთაშორისო ასპარეზზე პოტენციურ მასპინძელ ქვეყნად პოზიციონირება და შესაბამისად, იქცეს საერთაშორისო დონის სპორტული და გასართობი ღონისძიებების მასპინძლად, რაც ქვეყნისთვის უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია, რადგან ხელს შეუწყობს ქვეყნის წარმოჩენასა და დაეხმარება სპორტისა და ტურიზმის კიდევ უფრო მეტად განვითარებასა და წახალისებას. არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის ტექნიკური და ფუნქციური შესაძლებლობების შეზღუდული რესურსების პირობებში, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება – 70 000 მაყურებელზე გათვლილი, თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, ახალი სტადიონის მშენებლობის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილების განხორციელების მიზნით, ფონდმა გააფორმა ხელშეკრულება ნიდერლანდურ საკონსულტაციო კომპანიასთან „**The Stadium Consultancy B.V.**“, რომელსაც დაევალა რამდენიმე შეთავაზებული ალტერნატიული არეალიდან შესაფერისი ტერიტორიის შერჩევა, საერთაშორისო მოთხოვნებისა და არსებული ტექნიკური, ინფრასტრუქტურული და ურბანული კრიტერიუმების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ უეფას სტანდარტების მიხედვით, საფინალო მატჩის მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად, სტადიონის ტევადობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 70 000 მაყურებელს. ჰოლანდიური საკონსულტაციო კომპანიის მხრიდან პრიორიტეტი მიენიჭა იმ ფაქტორს, რომ სტადიონისათვის განკუთვნილი ტერიტორია უზრუნველყოფილი იყოს კარგად განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით. კერძოდ, საავტომობილო წვდომა მთავარი გზატკეცილით, სარკინიგზო კავშირი და საერთაშორისო აეროპორტის სიახლოვე, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს დამატებით მაღალი დონის კონფერენციების, ღონისძიებებისა და გამოფენების ჩატარებას. ასევე, მათი რეკომენდაციით („**The Stadium Consultancy B.V.**) აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს, დამსწრეთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება სტადიონის ტერიტორიაზე, რაც თავის მხრივ მოითხოვს მასშტაბური ავტოსადგომის მოწყობას. ამასთანავე, დამატებით აუცილებელ კრიტერიუმს წარმოადგენს სტადიონის სიახლოვეს თავისუფალი ტერიტორიის არსებობა, სადაც შესაძლებელი იქნება მსოფლიო მასშტაბის სხვადასხვა მედია-ცენტრების განთავსება, ღონისძიების პირდაპირი გადაცემის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული და სხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით, ჰოლანდიური საკონსულტაციო კომპანიის მიერ, პოტენციური არეალებიდან, ერთადერთ შესაფერის ალტერნატივად გამოიკვეთა და პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული კახეთის გზატკეცილზე მდებარე ტერიტორია (ლუგარის ლაბორატორიასა და შავი ზღვის უნივერსიტეტს შორის). შერჩეული ტერიტორია არამხოლოდ უზრუნველყოფს საჭირო სივრცეს მოთხოვნილი ინფრასტრუქტურისთვის, არამედ სრულ თანხვედრაშია ქვეყნის განვითარების უფრო ფართომასშტაბიან მიზნებთან – სპორტის, კულტურის, ტურიზმისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიმართულებით. პროექტის განხორციელების მიზნით საჭიროა პროექტის არეალში მოქცეულ კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამოსყიდვა. ფონდი აქტიურად ახორციელებს უძრავი ქონების გამოსყიდვას ზემოქმედების არეალში არსებული უძრავი ქონების მესაკუთრეებთან. თუმცა ზოგ მესაკუთრესთან ვერ ხდება შეთანხმების მიღწევა. ფონდის მიერ შეთანხმება, იქნა მიღწეული პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ლუკა ჯინჭარაძის (პ/ნ 01027047634) საკუთრებაში არსებულ ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და მის საუწყებო რადიოსადგურებს შორის (ნაკვეთი 26) მდებარე 540 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (სრულად) (ს.კ N01.19.25.001.077) გამოსყიდვაზე.

შეთანხმება მიუღწეველი ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების მიზნით საკითხის განმხილველი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 19 მაისის N1-1/184 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

„აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტისა და „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის“ ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის პირველი სექტემბრის N1-1/329 ბრძანების შესაბამისად ქ. თბილისში, აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე (ლუგარის კვლევით ცენტრსა და შავი ზღვის უნივერსიტეტს შორის), უეფას მეოთხე კატეგორიის **70000-**მაყურებლიანი საფეხბურთო სტადიონის მშენებლობის პროექტი ჩაითვალა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების მქონე პროექტად და სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდს“ მიენიჭა ექსპროპრიაციის უფლება პროექტის არეალში მოქცეულ ლუკა ჯინჭარაძის (პ/ნ **01027047634)** საკუთრებაში არსებულ ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილსა და მის საუწყებო რადიოსადგურებს შორის (ნაკვეთი **26)** მდებარე **540** კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ **N01.19.25.001.077)** (სრულად).

პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთებზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი უახლოეს დროში მიმართავს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეებს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლო განხილვის თარიღი.

## ზურაბ ზვიადაური დააკავეს



**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ზვიადაური სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით არის დაკავებული, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა, ტარებას გულისხმობს. უწყების ცნობით, ზვიადაური თბილისში დააკავეს.**

## რუსთავში დაკარგული მოზარდი გარდაცვლილი იპოვეს



**რუსთავში დაკარგული მოზარდი რევაზ დათაშვილი გარდაცვლილი იპოვეს.**

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, 16 წლის მოზარდის ცხედარი მაშველებმა მდინარე მტკვარში ძველი და ახალი რუსთავის დამაკავშირებელი ხიდიდან 3 კილომეტრის დაშორებით იპოვეს. ცხედარი პროზექტურაში გადაასვენეს. მოზარდის საძიებო სამუშაოები მდინარე მტკვარში 15 სექტემბერს დაიწყო.

## პროკურატურამ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენის, გადაზიდვის და რეალიზაციის ხელშეწყობის ფაქტებზე დაკავებულს ბრალდება წარუდგინა

**„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო რეალიზაციის ხელშეწყობისთვის ავტომანქანაში მოაწყო სპეციალური სამალავი, 520 ნაწილად დააფასოვა მის მიერ უკანონოდ შეძენილი 4.1594 გრამი „ბუპრენორფინი“, რაც გათუმიდან თბილისში გადაზიდა და მისი უკანონო რეალიზაციისთვის შექმნა პირობები.**

დაკავებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა), 260-ე მუხლის პრიმა მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო გადაზიდვა) და 260-ე კვარტა მუხლის მეექვსე ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო რეალიზაციის ხელშეწყობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



# ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს

# განცხადება

გაცნობებთ, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების მიზნით ახორციელებს პროექტს 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „წყალტუბო-ახალციხის“ მშენებლობას. პროექტი განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა და მიზნად ისახავს რეგიონში ელექტრომომარაგების გაზრდას და ერთიანი ენერგოსისტემის მდგრადობის გაუმჯობესებას.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვიტირში იჰსან მეტინის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი მოექცა პროექტის ზემოქმედების არეალში – ხაზის დაცვის ზონაში, რომელზეც საკუთრების უფლების მოპოვების სანაცვლოდ განსახლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია შესაბამისი სამართლიანი კომპენსაციის ანაზღაურება:

აღნიშნულიდან გამომდინარე სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ იჰსან მეტინის ნასყიდობის ხელშეკრულების გასაფორმებლად იწვევს მოლაპარაკებისათვის.

გთხოვთ, საგაზეთო პუბლიკაციის გამოქვეყნებიდან 5 დღეში გვაცნობოთ თქვენი პოზიცია ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ეგხ-ს ზემოქმედების არეალში მოქცეულ მიწის ნაკვეთის ნაწილზე, კერძოდ, 1454 კვ.მ და 576 კვ.მ-ზე ექსპროპრიაციის უფლების მოპოვების მიზნით მიმართავს კომპეტენტურ ორგანოს.

# დედაქალაქი „თბილისობას“ მრავალფეროვანი პროგრამით ხვდება




**როგორც თბილისის მერმა კახა კალაძემ დღეს დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, წელს „თბილისობა“ 20-21 სექტემბერს გაიმართება, ღონისძიების მთავარი ლოკაციები კი რიყის პარკი და ორბელიანის მოედანი იქნება.**

**„რიყის პარკში და ორბელიანის მოედანზე მოსულ სტუმრებს ტრადიციულად დახვდება თემატური დეკორაციები, მოცულობითი ინსტალაციები და ფოტოზონები. ორივე ლოკაციაზე მოეწყობა ღია კინოთეატრი, სამეწარმეო მარკეტი, გასტრონომიული და ღვინის ფესტივალები. დღის განმავლობაში, ასევე, გაიმართება საბავშვო კონცერტები, გასართობი და სპორტული აქტივობები, მუსიკალური საღამოები და თეატრალიზებული წარმოდგენები. გარდა ამისა, რიყის პარკში საესტრადო შემსრულებლების მრავალფეროვანი მუსიკალური პროგრამა დაგხვდებათ, ხოლო აბანოთუბანში წარმოდგენილი იქნება გამოფენა-გაყიდვა – „თბილისური მრავალფეროვნება“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

ამასთან, მისივე თქმით, 20 სექტემბერს, 20:00 საათზე, „თბილისობის“ ერთ-ერთი გამორჩეული საღამო – თბილისის საპატიო მოქალაქეების დაჯილდოების ცერემონია გაიმართება, რომელიც პირდაპირი ეთერით გადაიცემა, ხოლო 21 სექტემბერს, 20:00 საათზე, ევროპის მოედანზე 2025 წლის „თბილისობა“ გრანდიოზული საზეიმო კონცერტით დასრულდება.

**„მინდა, დაგპატიჟოთ ყველა – დიდი თუ პატარა ამ ლამაზი დღეების აღსანიშნავად. ეს არის ჩვენი ქალაქის დღე. გელოდებით, ერთად ჩავერთოთ სახალხო ზეიმის ფერხულში და ერთად ვეზიაროთ თბილისურ მრავალფეროვნებას“...**




# გიწვევთ ბაგრატიონების დინასტიის უნიკალური გამოფენა

**20 სექტემბერს საქართველოს ხელოვნების სასახლე – კულტურის ისტორიის მუზეუმი და საქართველოს ეროვნული მუზეუმი ბაგრატიონების დინასტიის უნიკალურ გამოფენას უმასპინძლებს.**

„ბაგრატიონები საქართველოს სამეფო დინასტიაა და ის მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი გვარია. წარმოშობით სამხრეთ საქართველოს სპერის (ისპირის) პროვინციიდან იყვნენ (ამჟამად თურქეთის ისპირის რაიონი). მათ დინასტიური კავშირები ჰქონდათ შირვანშაჰებთან, ბიზანტიის დუკებისა და კომნენოსების დინასტიებთან, აგრეთვე – ბურბონებისა და რომანოვების სამეფო ოჯახებთან.

**გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება საგვარეულოს 24 პორტრეტი (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი – XIX საუკუნის დასაწყისი), მათ შორის გიორგი XI, ირაკლი ბატონიშვილი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ – გრუზინსკი, გრიგოლ ბატონიშვილი, ერეკლე მეორე, თეკლა ბატონიშვილი, ვახტანგ ბატონიშვილი, ეკატერინე ბატონიშვილი, პატარა კახის და მეფე თამარის პორტრეტები.**

გამოფენაზე ასევე იხილავთ ნივთებს – სამეფო აღკაზმულობას, იარაღს, ბაგრატიონების გერბსა და ასტროლაბს, რომელიც მეფე ვახტანგ VI-ის დაკვეთით ირანში დამზადდა.

ექსპოზიცია უნიკალური შესაძლებლობაა ბაგრატიონთა დიდებული დინასტიის წარსულისა და მემკვიდრეობის უკეთ შესაცნობად. პორტრეტები, სამეფო რელიკვიები და ისტორიული საგანძური დამთვალიერებელს საშუალებას მისცემს, უკეთ გაეცნოს ბაგრატიონთა გვარის ისტორიას.

# ელდარ შენგელაიას ფილმების რეტროსპექტივა ეროვნული არქივის კინოთეატრში

**18-21 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის კინოთეატრი რეჟისორ ელდარ შენგელაიას ფილმების რეტროსპექტივას უმასპინძლებს.**



ეროვნული არქივის ინფორმაციით, ღონისძიება 18 სექტემბერს, 19:00 საათზე გაიხსნა ფილმით – „თეთრი ქარავანი“, რომელიც ელდარ შენგელაიამ რეჟისორ თამაზ მელიავასთან ერთად 1963 წელს გადაიღო.

**19, 20 და 21 სექტემბერს მაყურებელი ასევე იხილავს ფილმებს: „არაჩვეულებრივი გამოფენა“ (1968), „სამანიშვილის დედინაცვალი“ (1977), „შერეკილები“ (1973), „ცისფერი მთები, ანუ დაუჯერებელი ამბავი“ (1983), „მრავალჟამიერი/ტრილოგია“ (2022). ჩვენებებზე დასწრება თავისუფალია.**

# თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი საგარეჯოში, წალკასა და ბოლნისში კონცერტებს გამართავს

**18, 19 და 22 სექტემბერს, საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი ატარებს რეგიონალურ პროექტს, რომლის ფარგლებშიც კონცერტები ჩატარდება საგარეჯოში, წალკაში და ბოლნისში.**

„საქართველოს სინფონიეტას“ ინფორმაციით, მოწვეული სოლისტია ვიოლონჩელისტი სევაკ ავანესიანი (ბელგია).

**პროგრამაშია როგორც ქართული, აგრეთვე ევროპული მუსიკა და შესრულდება: მოცარტის, ბოკერინის, ცინცაძის, აზარაშვილისა და მაჭავარიანის ნაწარმოებები.**

**18 სექტემბერს, 18:00 საათზე, კონცერტი ჩატარდება საგარეჯოს კულტურის სახლში, 19 სექტემბერს 15:00 საათზე, წალკის N1 საჯარო სკოლაში, ხოლო 22 სექტემბერს 18:00 საათზე ბოლნისის კულტურის სახლში დასკვნითი კონცერტით დასრულდება პროექტი.**

# რა სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

## „ბიბისი“ – ბრიჟიტ და ემანუელ მაკრონები სასამართლოს წარუდგენენ „მეცნიერულ მტკიცებულებებს“, რომ საფრანგეთის პირველი ლედი ნამდვილად ქალია

**საფრანგეთის პრეზიდენტისა და პირველი ლედის ადვოკატების ინფორმაციით, მაკრონების ოჯახი „მეცნიერულ მტკიცებულებებს“ ფოტოებსაც დაურთავს.**

**მაკრონები აღნიშნულ დოკუმენტაციას წარადგენენ სარჩელში, რომელიც მათ ცილისწამებისთვის ამერიკელი ჟურნალისტის, კენდის ოუენსის**



**წინააღმდეგ შეიტანეს. სარჩელის მიზეზი ჟურნალისტის პოდკასტები გახდა, სადაც ის ამტკიცებდა, რომ საფრანგეთის პირველი ლედი კაცად დაიბადა და მისი ნამდვილი სახელი ჟან მიშელ ტრონიო იყო.**

მაკრონების ადვოკატმა ტომ კლერმა „ბიბისის“ განუცხადა, რომ „საფრანგეთის პირველი ლედისკენ მიმართული ცილისწამება ბრიჯიტ მაკრონის განსაკუთრებულ შეშფოთებას იმიტომ იწვევდა, რომ ეს საკითხი ემანუელ მაკრონის მხრიდან ყურადღების გადატანას იწვევდა“.

კლერის თქმით, აღმაშფოთებელია, რომ მაკრონების ოჯახს სასამართლოში ამ ტიპის მტკიცებულებების წარდგენა უწევს.

**„ეს არის პროცესი, რომლის გავლაც მათ საჯაროდ მოუწევთ, თუმცა მზად არიან ამისთვის. მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, გააკეთონ ყველაფერი, რაც ვითარების გამოსასწორებლად არის საჭირო“,** – განაცხადა მაკრონების ოჯახის ადვოკატმა.

ამასთან, ტომ კლერმა აღნიშნა, რომ არსებობს ბრიჯიტ მაკრონის ფეხმძიმობისა და შვილების აღზრდის ფოტოები, რაც სასამართლოში სხვა მტკიცებულებებთან ერთად იქნება წარდგენილი.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოღებულ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა **„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 22 სექტემბერს**